პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 109 (9577) | შაბათი, 9 მაისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს გამარჯვების დღეა!

რვა წლის წინათ საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს დიდ სამამულო ომში გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დაიცვეს თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა, ფაშისტური მონობის საფრთხისაგან იხსნეს ევროპის ხალხები.

## საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება

დღეს შესრულდა რვა წელი მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრა თავისი დიდი განმათავისუფლებელი ომი, გაანადგურა ჰიტლერული გერმანია, დაიცვა საბჭოთა სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა, იხსნა კაცობრიობა ფაშისტური საშინელებისაგან.

ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებიდან ცოტა ხნის შემდეგ ჩვენმა სახელოვანმა საბჭოთა არმიამ გაანადგურა მილიტარისტული იაპონია. ლიკვიდირებულ იქნა ომის კერა როგორც ევროპაში, ისე აზიაში. ეს იყო გმირი საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, სტალინური სამხედრო სტრატეგიის ტრიუმფი. დამთავრდა ომის პერიოდი. დაიწყო მშვიდობიანი მშენებლობისა და განვითარების პერიოდი.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ქვეყნის მთელი ძალები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმა. საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი ზურგში თავდადებული შრომით უზრუნველყოფდა ფრონტის საჭიროებებს.

დიდ სამამულო ომში ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ საბჭოთა ადამიანების გმირულ ბრძოლას ზურგში და ფრონტზე ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ბრძენი ბელადი და გენიალური მხედართმთავარი დიდი სტალინი.

საბჭოთა ხალხის ამ ისტორიული გამარჯვების წყარო იყო ის სწორი პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ომისწინა წლებში ახორციელებდა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინურმა პოლიტიკამ, სტალინურმა ხუთწლედებმა ჩვენი სამშობლო ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით უძლიერეს სახელმწიფოდ აქციეს, რომელმაც ბრწყინვალედ გაუძლო ომის ყველა განსაცდელს. ომის წლებში მთელი სისრულით გამოვლინდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი ძალა. ჩვენი გამარჯვება დიდ სამამულო ომში ნიშნავდა, რომ გაიმარჯვა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ, საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა.

საბჭოთა სახელმწიფოს მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ ფაშისტურ გერმანიასა და მილიტარისტულ იაპონიაზე უზრუნველყო მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შექმნა. სახალხო-დემოკრატიული წყობილება დამკვიდრდა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და ალბანეთში, შეიქმნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი მედგრად იბრძვის მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობას განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ომიდან საბჭოთა სახელმწიფო კიდევ უფრო მტკიცე და ძლიერი გამოვიდა. სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ გმირი საბჭოთა ხალხი შეუდგა მშვიდობიან შრომას; დიდი წარმატებით შესრულდა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმა, ფართოდ გაჩაღდა კომუნიზმის დიადი მშენებლობანი. ამჟამად საბჭოთა ხალხი, XIX პარტყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, თავდადებულად იბრძვის მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს.

საბჭოთა ხალხის დიდ შემოქმედებით შრომას წარმართავს და ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომლის მთავარი ამოცანები ამჟამად ის არის, რომააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველნაირად განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან.

საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ, განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას. კომუნიზმის მშენებლობა და მშვიდობა განუყოფელია. საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობს და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების ინტერესებს გამოხატავს, განსაზღვრულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ბუნებით. საბჭოთა მთავრობას ყოველთვის მიაჩნდა და მიაჩნია, რომ თუ კეთილი ნება და გონივრული მიდგომა იქნა, ყველა საერთაშორისო უთანხმოება შეიძლება გადაიჭრას მშვიდობიანი გზით. საბჭოთა სახელმწიფო, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საიმედო ბურჯი, სათავეში უდგას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრ ბანაკს, გადაჭრით უჭერს მხარს თანამედროვეობის დიდ მოძრაობას — მსოფლიოს ხალხთა მოძრაობას მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა არის პოლიტიკა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოსი, კომუნიზმის მშენებელი ქვეყნისა, რომელიც დარწმუნებულია თავის ძალებსა და მომავალში. მხოლოდ პოლიტიკაში აბსოლუტურად ბრმებს შეუძლიათ მიიჩნიონ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარეობა მის სისუსტედ. საბჭოთა მთავრობა, ახორციელებს რა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას, ამავე დროს დაუცხრომლად ავითარებს და წინ სწევს ჩვენს სახალხო მეურნეობას, კულტურასა და მეცნიერებას, განამტკიცებს და აძლიერებს სოციალისტურ სახელმწიფოს, ჩვენს სახელოვან შეიარაღებულ ძალებს.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრებისა და შრომის ღირსეული დამცველი.

ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!



მოსკოვი. წითელი მოედანი

ფოტო ვ. ეგოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1953 წლის 9 მაისი № 53 ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

რვა წლის წინათ ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მოიპოვეს რა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიცვეს თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა და ფაშისტური მონობის საფრთხისაგან იხსნეს ევროპის ხალხები.

ვულოცავ გამარჯვების დღეს არმიისა და ფლოტის პირად შემადგენლობას.

გამარჯვების დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 9 მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცდაათი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

**სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი.**

## „აყვავებული მოსკოვი"

მოსკოვის გამწვანების ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება შეუდგა სიტყვიერი ჟურნალის „აყვავებული მოსკოვის" გამოშვებას.

ჟურნალის ამოცანაა პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია მებაღეებს დედაქალაქის გამწვანების სამუშაოთა გეგმებსა და დეკორაციული მცენარეებისა და ხილ-კენკრის ახალი ჯიშების გამოყვანაზე.

ჟურნალის პირველი ნომერი მიეძღვნა ხეხილის ფესვების სისტემის აღნაგობასა და ზრდას. ამის შესახებ მოხსენება გააკეთა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მეხილეობის კათედრის გამგემ პროფესორმა ვ. ა. კოლესნიკოვმა.

ჟურნალის წაკითხვა იწარმოებს ყოველკვირეულად საზოგადოების შენობაში. შემდეგ ნომრებში შეტანილ იქნება მასალები მოსკოვის ოლქში მეფუტკრეობის განვითარებისა და დედაქალაქის ბაღებისა და პარკების გაფორმებისათვის ყვავილების შერჩევის შესახებ. (საკდესი).

## მოსკოვის მეტროს დიდი რკალის მშენებლობაზე

მოსკოვის მეტროს მშენებლები მეტროპოლიტენის დიდი რკალის მესამე უბანზე წარმატებით აგებენ გადასარბენ გვირაბებსა და სადგურებს.

რკალის მაგისტრალზე ასაშენებელი დარჩა სულ ერთი გადასარბენი — „კრასნაია პრესნიას" და „კიევსკაია კოლცევაიას" სადგურებს შორის. ეს მიწისქვეშა გზა გაჰყავს ერთბაშად სამ კოლექტივს. № 8 შახტის გვირაბგამყვანები ზოოპარკიდან მიდიან კიევის ვაგზლის მიმართულებით.

## დამთავრდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემა ქართულ ენაზე

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 35-ტომი. თარგმანი მეოთხე გამოცემიდან შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

35-ე ტომის გამოსვლით დამთავრდა ქართულ ენაზე ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემა.

ვ. ი. ლენინის — კომუნისტური პარტიის შემქმნელის, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის თხზულებათა ქართულ ენაზე გამოცემის დამთავრება უდიდესი მოვლენაა საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის ყველა მშრომელის იდეურ ცხოვრებაში, ახალი წინგადადგმული ნაბიჯია ლენინიზმის უკვდავი იდეების პროპაგანდის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს მშრომელებმა ვ. ი. ლენინის შრომები ქართულ ენაზე დიდი რაოდენობით მიიღეს. საქართველოს წიგნის პალატის ცნობებით, 1921-დან 1953 წლამდე ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი ქართულ ენაზე გამოვიდა 1.891.000 ცალი. სულ საქართველოში გამოცემულია ვ. ი. ლენინის 187 სახელწოდების შრომა.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა პირველი სრული კრებულის გამოცემა ქართულ ენაზე დაიწყო 1928 წელს, მაგრამ იგი არ დამთავრებულა.

დიდი როლი შეასრულა ქართულ ენაზე ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა ექვსტომეულისა და ორტომეულის გამოშვებამ.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის პირველი ტომები ქართულ ენაზე გამოვიდა 1948 წელს. მეოთხე გამოცემის გამოშვების დამთავრებით საქართველოს მშრომელებმა ქართულ ენაზე პირველად მიიღეს ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული. ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდათხუთმეტივე ტომი ქართულ ენაზე დაბეჭდილია 700 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემა ყველაზე სრულია წინანდელ გამოცემებთან შედარებით: ამ გამოცემაში მოთავსებულია 500-ზე მეტი დოკუმენტი, რომლებიც პირველად შევიდა თხზულებებში.

მეოთხე გამოცემაში ყველაზე სრულად არის რეალიზებული ამხანაგ ი. ბ. სტალინის მითითება, რომელიც მან მოგვცა 1923 წლის მიმართვაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო გულდასმით შეგვეგროვებინა და პარტიისა და ხალხის კუთვნილებად გაგვეხადა ლენინის ყველა ნაწარმოები, ყველა არსებული დოკუმენტი და მასალა, რომლებიც ახასიათებენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მოღვაწეობას პარტიის შექმნის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის, პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემა ქართულ ენაზე საშუალებას აძლევს საბჭოთა საქართველოს პარტიულ კადრებს, საბჭოთა ინტელიგენციას, მშრომელებს ზედმიწევნით შეისწავლონ დედაენაზე ვ. ი. ლენინის ყველა გენიალური ნაწარმოები, ლენინის დიადი იდეებით აიარაღებს მათ კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

წელს ქართულ ენაზე გამოიცემა ვ. ი. ლენინის მეოთხე გამოცემაში შესულ ნაწარმოებთა ანბანზე გაწყობილი საძიებელი.

რესპუბლიკის მშრომელთა იდეურ ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა ი. ბ. სტალინის თხზულებათა ცამეტი ტომის გამოცემა ქართულ ენაზე. ეს ტომები დაბეჭდილია 455 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

ახლა ქართულ ენაზე გამოსაცემად მზადდება ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა დამატებითი ტირაჟები.

დასაბეჭდად მზადდება აგრეთვე ახალი თარგმანი კ. მარქსის „კაპიტალის" სამი ტომისა, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში", „გოთას პროგრამის კრიტიკა", „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა", ფ. ენგელსის „ბუნების დიალექტიკა", „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა", „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში", „ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული". მალე გამოვა „კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიწერ-მოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან". ქართულ ენაზე ითარგმნება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „გერმანული იდეოლოგია". (საქდესი).

## პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად მუშაობს ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი შ. პაქსაშვილი, პარტბიუროს მდივანი გ. ყიფშიძე, მაღარკომის თავმჯდომარე დ. ბრეგვაძე), რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის მაქსიმოვის სახელობის მაღაროს კოლექტივთან.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა ათი დღით ადრე შეასრულა ოთხი თვის დავალება; განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა მან I კვარტალში, როცა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა გაანაღდა 109,6 პროცენტით, პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვებისა — 118,5 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება გასულ წელთან შედარებით გაადიდა 21,6 პროცენტით, ხოლო გამამდიდრებელ ფაბრიკაში — 15,4 პროცენტით. ყოველივე ამას ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა მიაღწია ნაკლები მუშახელით, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა, და შეძლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიეღო 497.300 მანეთი ეკონომია.

ამ დღეებში მოსკოვიდან ჭიათურაში მიიღეს სასიხარულო ცნობა: მეტალურგიული მრეწველობის საწარმოთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების პირველი კვარტალის შედეგების შეჯამების შედეგად გამარჯვებულად აღიარებულია ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელსაც მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის მიეკუთვნა პირველი ადგილი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამ ცნობას მაღაროელები ახალი შრომითი ენთუზიაზმით შეხვდნენ. მაღარო საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს. სტახანოველები — ა. თოდაძე, შ. ასანიძე, მ. სამხარაძე, ი. მაჭარაშვილი, შ. სირაძე, იაკობ და ვიქტორ ბოიკოები, დ. ფირაძე, ვ. გაფრინდაშვილი და სხვები დავალებებს 160-180 პროცენტით ასრულებენ.

მაღაროელები იბრძვიან, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობას.

## ნოვატორები აუმჯობესებენ ტექნოლოგიას

თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის რაციონალიზატორები აქტიურად მონაწილეობენ საწარმოში ტექნოლოგიის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

ქარხნის მოწინავე სტახანოველებმა, საამქროთა ოსტატებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა წელს 4 თვეში 59 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს. აქედან წარმოებაში დანერგილია 41. ამ წინადადებათა დანერგვამ მნიშვნელოვნად შეამცირა დეტალების დამუშავებისა და აწყობის საწარმოო ციკლი, გამოიწვია მასალებისა და ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომია.

ყველაზე საყურადღებოა ლითონსაჭრელი ჩარხის ძირითადი კვანძების ასაწყობი მაღალი წარმადობის ხელსაწყო, რომელიც შეიმუშავა ამწყობი საამქროს უფროსმა ა. ჯიბლაძემ. წინათ სახარატო ჩარხზე მიწოდებათა ყუთის, წინალისა და უკანა კრონშტეინის დაყენებას მეშვიდე თანრიგის სამი ზეინკალი ერთ სამუშაო დღეს უნდებოდა. ამ ხელსაწყოს გამოყენებით კი უფრო ნაკლები კვალიფიკაციის ზეინკალს შეუძლია ერთდროულად ზუსტად დააყენოს ათ სახარატო ჩარხზე მიწოდებათა ყუთი, წინალი და უკანა კრონშტეინი. ამ ღონისძიებით დაჩქარდა სახარატო ჩარხის აწყობა, გადიდდა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა თვითღირებულება. ამ ხელსაწყოს გამოყენება საწარმოს წლის განმავლობაში 15 ათას მანეთს ეკონომიას მისცემს.

საყურადღებო გაუმჯობესება შეიტანა სალარავი ჩარხის კონსტრუქციაში საამქროს ოსტატმა ნ. კუზმინმა. მან გააკეთა ახალი სამარჯვი, რითაც შესაძლებელი გახდა ნაცვლად რკინის ოთხი ძელისა ერთდროულად დამუშავდეს რვა. ამით დიდად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, თვითეული ძელის დამუშავების თვითღირებულება შემცირდა 1 მან. და 30 კაპიკით.

მჭედელ მ. ყველაშვილის წინადადებით ქარხანაში მოგვარებულია მცირე დეტალების დამზადება გაცვეთილი დეტალებისაგან.

## თბილისის პირველ პურსაცხობ ქარხანას — მეორე საკავშირო პრემია

საქპურტრესტის თბილისის პირველ პურსაცხობ ქარხანაში სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროდან მიიღეს დეპეშა, რომ 1953 წლის პირველ კვარტალში საუკეთესო საწარმოო მიღწევებისათვის ამ ქარხნის კოლექტივს საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრომ მიაკუთვნეს მეორე ფულადი პრემია 11.000 მანეთის რაოდენობით.

პირველ კვარტალში პურსაცხობი ქარხნის კოლექტივმა საწარმოო გეგმა როგორც რაოდენობრივად, ისე ასორტიმენტის და ხარისხის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 55.600 მანეთით და სამშობლოს მისცა 128.200 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

## მესტიელი სტახანოველები

**მესტია.** („კომუნისტის" კორ.). ზემო სვანეთის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საამქროთა კოლექტივებმა დიდი წარმატებით გაანაღდეს საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრი ვალდებულებები. განსაკუთრებით დაწინაურდა საზეინკლო საამქრო, რომელმაც უკვე მოგვცა წლიური გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის საერთო მოცულობის 120 პროცენტი და ახლა პროდუქციას იძლევა 1954 წლის ანგარიშში.

ასევე წარმატებით გაანაღდა წლის დავალება ფეხსაცმლის საკერავმა საამქრომ. წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე ხე-ტყის სახერხმა და ავეჯის საამქროებმა.

კომბინატის კოლექტივის წარმატებაში მნიშვნელოვანი პირადი შრომითი წვლილი შეიტანეს სტახანოველებმა — ფ. შუკვანმა, ღ. ჩართოლანმა, ჭ. ხერგიანმა, შ. ივეჩიანმა და ა. ნავერიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ზეიმი

[illegible]

...ბი ამ დღეს. დატოვებულ სანგრებში, ცეცხლითა და კვამლით გარუჯულ ნანგრევებთან, მოზუზუნე ჩარხებთან, პარტიზანულ საფრებში, სიკვდილის ბანაკებსა და ახლადშობილთა აკვნებთან ადამიანები მხურვალედ ოცნებობდნენ ამ დღეზე და სწამდათ მისი გარდუვალობა.

[illegible] დემოკრატია.

ეს გამარჯვება ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების წყაროა, — ახალი, დემოკრატიული მსოფლიოს გაზაფხული.

ამიტომ ვზეიმობთ ჩვენ ამ დღეს.

ა. კუსრაშვილი.

# ომგადახდილის სიმღერა

მე სანგარი ბინად მქონდა, ზეცა ქუდად მეხურა,
როცა შექდნენ ქვემეხები და ხმა .ქუხდა მეხურად.

სისხლით ბევრჯერ შეიღება ჩემი ძველი მაზარა,
მე ბერლინში მაინც შევედ, მტერს დავატყდი თავზარად.

ტყვიის დელგმით შევანგრიე რაიხსტაგის კარები,
გამარჯვების მოტანისთვის მამულს სულ ვეყვარები.

მოვიარე ქალაქები, ომმა სად არ მატარა!
შინ დავბრუნდი, ძლივს ვიცანი ჩემი შვილი პატარა.

დედა ცქერით ვერ ძღებოდა, მახსოვს მისი თვალები,
ქართველ დედის ერთგულებას მუდამ ვეტრფიალები.

ივანანამ ჩამინერგა ვაჟკაცობა, გმირობა,
მეც სამშობლოს შევუსრულე ფიცი, მტკიცე პირობა.

შეუპოვარ ბრძოლით მიველ მტაცებელთა მიწამდი,
მე ბერლინის დამარცხებით ყველა მშრომელს ვიცავდი.

მე ომი არ მინატრია, მე ცეცხლი არ მინდოდა,
მინდა ქვეყნად გაზაფხული, მინდა ხალხთა მშვიდობა.

ვარლამ ჟურული.

# დიდება გმირებს!..

ჩვენ ვზეიმობთ. სიხარულით ვეგებებით ომისშემდგომ მერვე მშვიდობიან გაზაფხულს.

მაგრამ მიმოვიხედოთ ირგვლივ — ამ ზეიმს არ ესწრება რომელიმე ჩვენი მშობლიური, ახლობელი ადამიანი — იგი დიდი სამამულო ომის ფრონტზეა გმირულად დაცემული, და სადმე შორს — რუსეთის, უკრაინისა თუ ბელორუსიის მიწაზეა გაჭრილი მისი საფლავი.

სამარადისო დიდება მას!

სამშობლოსათვის მისი თავგანწირვა ანაზღაურებულია კომუნიზმის ელვარე მწვერვალების სიახლოვით, რომელსაც, როგორც ბედნიერების წყაროს, დღეს მისივე შვილი, და, ძმა ეწაფება, საბჭოთა ხალხი ეწაფება.

მაგრამ საბჭოთა მეომრის თავგანწირვა ანაზღაურებული იყო მხსნელ სიცოცხლეშიც და მისი გმირულად დაცემის შემდეგაც თანამოიარაღეთა მიერ.

მოვიგონოთ ის დღეები.

გვახსოვს რუსეთის, უკრაინის თუ ბელორუსიის ტყისპირებზე, სადმე, ფაშისტთა საველე ჰოსპიტლების მახლობლად, ჰიტლერელთა ამპუტირებული მკლავებისა და ფეხების საფლავებიც. გვახსოვს... თეთრი არყისხის ჯვრების „ქალაქებიც“.

საქორწილო კაბებით გამოწყობილ პატარძლებს ჰგვანან რუსეთში თეთრი არყისხეები. რუსეთის ბუნების სილაღე, სინათლე და თითქოს თვით რუსი ადამიანის სულიერი სიფაქიზე ჩაუქსოვიათ ტყეებსა და ჭალებს ამ მანათობელ არყისხეებში.

მეტად არასასიამოვნო დანიშნულება გაუჩინეს მათ წარსულ ომში ჰიტლერის გენერლებმა: — გამოეჭრევინებინათ მათი ტოტებიდან ჯვრები და გაულეტილ ოკუპანტთა საფლავების თავთან დაესოთ.

ჩვენ გვახსოვს უკუქცეულ ფაშისტთა მიერ დატოვებული დანგრეული საბჭოთა ქალაქები და გადაბუგული სოფლები, მაგრამ ბევრად უფრო მეტი — ჯვრების ქალაქები — თეთრი არყისხის ჯვრების ქალაქები!..

ომგადახდილებს უნახავთ ბევრი ეს ხის ჯვარი გადაზნექილი ან წაქცეული. შეიძლება თვითონ რუსული მიწა ინძრეოდა შურისძიებით ამ ჯვრის ქვეშ და ოკუპანტის გვამის ამოგდებას ლამობდა, ან შეიძლება თვით რუსული მიწის წვენნაწოვი არყის ხის — ამჯერად ფაშისტის მიერ შეურაცხყოფილი არყისხის ჯვრად ქცეული ტოტები თვად ლამობდნენ ჰიტლერელი ჯალათის საფლავს გასცლოდნენ.

არ ვიცით რომელი ხისგან აკეთებენ ჯვრებს თავიანთი ჯარისკაცების საფლავებისათვის ოკუპანტები კორეაში, ან კოლონიზატორები ვიეტნამში, მაგრამ ეს კია — ადამიანის თბილ სისხლს მოწყურებულ ახალ ჩინგისხანთა და ჰიტლერთა გვამებს არ მიიღებს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა არც ერთი ქვეყნის მიწა.

წარსული ომის გაკვეთილი კარგად უნდა დაიმახსოვრონ ახალი ომის გამჩაღებლებმა.

მშვიდობა, რომლის მედროშეა საბჭოთა კავშირი, იმარჯვებს ომზე, რომელსაც იმპერიალისტები აჩაღებენ.

ომზე გაიმარჯვებს მშვიდობა, რომლის საქმეს სამამულო ომის ფრონტებზე თავი შესწირა ბევრმა საბჭოთა მეომარმა.

მოვიგონოთ ისინი ამ მშვიდობიანი გაზაფხულის ზეიმის დღესაც, და გავიმეოროთ ბელადისა და მთავარსარდლის სიტყვები:

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლებში!

ვლ. თოფურია.

# ზრუნვა უდედმამო ბავშვებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 49 საბავშვო სახლში იზრდება 4.200 უდედმამო ბავშვი. მათი მეტი წილი ომში დაღუპულთა შვილებია.

საბავშვო სახლები ამჟამად ემზადებიან ბავშვთა საზაფხულო დასვენებისათვის. 20 ივნისიდან ბახმაროზე, ბეშუმში, მანგლისში, თეთრ წყაროში, ლებარდეში, სურამში, შოვსა და ახალდაბაში დასასვენებლად გაყვანილ იქნება 18 საბავშვო სახლი. 1.500-მდე აღსაზრდელი მხიარულად და შინაარსიანად გაატარებს ზაფხულს. დანარჩენ საბავშვო სახლებში, რომელთა მეტი წილი სააგარაკო ადგილებშია, ბავშვები გადაყვანილ იქნებიან გაძლიერებულ კვებაზე, მათთვის ხშირად მოეწყობა ექსკურსიები.

ამჟამად უდედმამო ბავშვთა საზაფხულო დასასვენებელ სახლებში მიმდინარეობს შენობების, ინვენტარის შეკეთება, ახალი ინვენტარის შეძენა, კადრების დაკომპლექტება.

პრესის მიმოხილვის მაგიერ

# საეჭვო დუმილი

საბჭოთა პრესა, რომელიც ყველაზე მოწინავე, ახალი ტიპის პრესაა, ყოველწლიურად აღნიშნავს თავის ტრადიციულ დღეს — 5 მაისს. ამ დღეს ჩვენი გაზეთები კრიტიკულად ამოწმებენ გაწეულ მუშაობას, ავლენენ ნაკლოვანებებს და სახავენ მომავალი მუშაობის ღონისძიებებს.

მიმდინარე წელს ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა პრესის დღე აღინიშნა განსაკუთრებულ ვითარებაში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებათა ბოლომდე აღმოფხვრისათვის გაჩაღებული ბრძოლის ვითარებაში.

ცნობილია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების მუშაობა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. ისინი არ იჩენდნენ სათანადო პრინციპულობას, გაბედულად ვერ ამხელდნენ ნაკლოვანებებს პარტიული ორგანიზაციების, საწარმოებისა და კოლმეურნეობების მუშაობაში, ფართო ადგილს უთმობდნენ პარადულ ხმაურს, ქება-დიდებას ასხამდნენ ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივნებს ამხ. ჩარკვიანს და ამხ. მგელაძეს, ყოველნაირად უკეთებდნენ მათ რეკლამას.

გაზეთები მოვალენი იყვნენ საბჭოთა პრესის დღეს — 5 მაისის ნომერში მთელი პირდაპირობით ეთქვათ თავიანთი შეცდომების შესახებ, ბოლომდე ემხილებიათ მუშაობის სერიოზული ნაკლოვანი მხარეები და ამით ხელი შეეწყოთ მათი დაძლევისათვის, მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის.

ბევრი გაზეთი სწორედ ასე მოიქცა. სამწუხაროდ, არის გამონაკლისიც.

ქუთაისის საქალაქო გაზეთმა „სტალინელმა“ საბჭოთა პრესის დღეს მიუძღვნა მოწინავე სტატია „კომუნისტური პარტიის მძლავრი იარაღი“. ამ სტატიაში ბევრია ნათქვამი საბჭოთა პრესის ძირითად პრინციპებზე, მის როლსა და ამოცანებზე, აღნიშნულია ისიც, რომ „პრესამ ფართოდ უნდა გააჩაღოს თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა“. მაგრამ ერთი სიტყვაც არაა გაზეთ „სტალინელის“ მუშაობის ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე. გაზეთმა მოწინავე წერილში დუმილით აუარა გვერდი იმ ფაქტს, რომ იგი არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, ხშირად ბეჭდავდა პარადული ხასიათის მასალებს, რეკლამას უკეთებდა ამხ. ა. მგელაძეს, ქუთაისის საოლქო კომიტეტის ყოფილ მდივანს ამხ. მ. ბალავაძეს, გამოდიოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ქუთაისის საოლქო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დანერგილი მუშაობის მანკიერი სტილის შემქების როლში, მიმართავდა მლიქვნელობას და მაამებლობას.

ასევე მოიქცა საოლქო გაზეთი „საბჭოთა აჭარაც“. 5 მაისის მოწინავე სტატიაში „კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაული“ გაზეთი აღნიშნავდა:

„ბეჭდვითი სიტყვის ამოცანაა თავისი საქმიანობა უნარიანად წარმართოს მასების კომუნისტური აღზრდის მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის, შეუნელებლად იბრძოლოს კრიტიკისა და თვითკრიტიკის — ჩვენი საზოგადოების წინსვლის ამ მძლავრი იარაღის შემდგომი განვითარებისათვის“.

მაგრამ თავისი ნათქვამი იქვე დაივიწყა და სიტყვაც არ დაძრა მის მიერ დაშვებულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებზე. ეს მაშინ, როცა ამავე სტატიაში გაზეთი მოურიდებლად აკრიტიკებს რაიონულ გაზეთებს და უხვად აძლევს მათ რჩევა-დარიგებებს. ფაქტია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის კარიერისტ ა. მგელაძის მუშაობის მანკიერი სტილის შედეგები მეტად მწვავედ იგრძნობა აჭარის ასს რესპუბლიკაში, თვით გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მუშაობაში.

თვითკრიტიკა, საკუთარი ნაკლოვანებების მხილება — საბჭოთა პრესის ძვირფასი, დამახასიათებელი თვისებაა. იგი მისი წარმატებების, მისი წინსვლის იარაღია. ეს კარგად უნდა იცოდნენ და არასოდეს არ უნდა დაივიწყონ გაზეთების „საბჭოთა აჭარის“ და „სტალინელის“ რედაქციების მუშაკებმა.

# „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

სოფელ ლიხეთის კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზე არ არის, ფულად სახსრებს არადანიშნულებისამებრ ხარჯავენ, ნაკლები ყურადღება ექცევა საკოლმეურნეო ქონების მოვლა-პატრონობას,—გვწერდა სოფლკორი. წერილი სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის ამბროლაურის რაიკომს.

როგორც პარტიის ამბროლაურის რაიკომი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. რაიკომის ბიურომ სხვადასხვა დანაშაულისათვის სათანადოდ დასაჯა: ლიხეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. კანთელაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ჯაფარიძე, ფერმის გამგე ა. ტორონჟელიძე, საკოლმეურნეო და ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივნები ლობჯანიძე და მალაქმანიძე. ზოოტექნიკოს პ. კანთელაძის საქმე სათანადო ზომების მისაღებად გადაეცა პროკურატურას.

დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

# საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება

რვა წლის წინათ, 1945 წლის 9 მაისს საბჭოთა ხალხმა ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი. გენიალური მხედართმთავრის ი. ბ. სტალინის წინამძღოლობით სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა სასტიკად გაანადგურეს აგრესორები, დაიცვეს თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობა, იხსნეს კაცობრიობა ფაშისტური დამონებისაგან.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე. სოციალისტური სახელმწიფო ომიდან გამოვიდა კიდევ უფრო ძლიერი, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი უმაგალითოდ გაიზარდა და განმტკიცდა.

* * *

უეცრად, ყაჩაღურად რომ თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს, ჰიტლერელები ვარაუდობდნენ მოკლე ვადაში განეხორციელებინათ თავიანთი ბოდვითი გეგმა — მოესპოთ მსოფლიოში მშრომელთა პირველი სახელმწიფო, აღედგინათ ჩვენს ქვეყანაში მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება. ფაშისტურმა გერმანიამ სსრ კავშირს შემოუსია მრავალრიცხოვანი, სავსებით მობილიზებული და საბრძოლო გამოცდილების მქონე ჯარები. ჩვენს სამშობლოს თავს დასტრიალებდა საშინელი საფრთხე.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მკერდით დადგა ქვეყნის დასაცავად, მტერს დაუპირისპირა თავისი სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება, ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მგზნებარე პატრიოტიზმი.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომს თავიდანვე მიენიჭა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. იცავდნენ რა სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, საბჭოთა მეომრები ამასთან ერთად ასრულებდნენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას — იცავდნენ მთელ კაცობრიობას ფაშისტური დამონების საფრთხისაგან.

ს. ბოგდანოვი,
ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი,
ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი.

ომის კეთილშობილურმა მიზნებმა საბჭოთა კავშირის ხალხები აღაფრთოვანეს საგმირო საქმეებისათვის, საძულველი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. სსრ კავშირის მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის გარშემო.

გმირულად იბრძოდნენ ფრონტებზე ჩვენი მეომრები, თავდადებით შრომობდნენ ზურგში მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია. ცოტა გაჭირვებას როდი იტანდა, ცოტა მსხვერპლი როდი იყო, მაგრამ ხალხი გამარჯვებისათვის არაფერს იშურებდა, ბედნიერი მომავლისათვის ამრავლებდა იგი თავის ღონისძიებებს ბრძოლასა და შრომაში. რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა მთლიანად გარდაიქმნა სამხედრო ყაიდაზე. საბჭოთა არმია, იღებდა რა ყველაფერს, რაც საჭირო იყო ომის წარმატებით წარმოებისათვის, გამანადგურებლად ურტყამდა მტერს.

აქტიური თავდაცვით, რაც შეხამებული იყო უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებებზე კონტრიერიშებსა და კონტრშეტევასთან, ჩვენმა მამაცმა ჯარებმა პირველ პერიოდშივე შეარყიეს გერმანელ ფაშისტთა არმიის დამკვრელი ძალა. „ელვისებური ომის“ ჰიტლერული ნაქები სტრატეგია მთლიანად ჩაიფუშა. მტერმა, კოლოსალური მსხვერპლის ფასად მოახერხა მოსულიყო მოსკოვის მისადგომებთან, მაგრამ სწორედ აქ მოელოდა მას პირველი მძიმე დამარცხება. საბჭოთა მეომრები მტკიცედ იცავდნენ ჩვენს დიდებულ დედაქალაქს, ხოლო შემდეგ გადამწყვეტ კონტრშეტევაზე გადავიდნენ და სასტიკად გაანადგურეს ფაშისტთა ურდოები. მოსკოვის მიდამოებთან გაცამტვერდა მითი ჰიტლერელთა ჯარების უძლეველობის შესახებ.

ჰიტლერული გერმანიის ძალები სუსტდებოდნენ, ჩვენი ქვეყნის ძალები დღითიდღე იზრდებოდნენ. „ახლა ომის ბედს, — წერდა ამხანაგი სტალინი 1942 წლის 23 თებერვლის ბრძანებაში, — გადაწყვეტს არა ისეთი მეორეხარისხოვანი მომენტი, როგორიცაა უეცრობის მომენტი, არამედ მუდმივ მოქმედი ფაქტორები: ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, არმიის უფროსთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი“.

ი. სტალინის გენიალურ დებულებას მუდმივმოქმედი ფაქტორების როლის შესახებ უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ გაითვალისწინეს რა ეს ფაქტორები, პარტიამ და მთავრობამ მთავარი ღონისძიებანი წარმართეს იმ ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებზეც დამოკიდებული იყო ომის ძლევამოსილი დამთავრება.

ომის უკვე მეორე წელს ლიკვიდირებულ იქნა ჰიტლერელთა არმიის სამხედრო ტექნიკის რაოდენობრივი უპირატესობა. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების განკარგულებაში უკვე იყვნენ მძლავრი სატანკო და მექანიზებული, საავიაციო და საარტილერიო შენაერთები.

სტალინგრადთან დიდ ბრძოლაში საბჭოთა არმია გარსშემოერტყა და მოსპო მტრის 330-ათასიანი დაჯგუფება. ამ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების, ავიაციისა და არტილერიის უძლეველმა საბრძოლო ძლიერებამ, რაც უმაღლესი მთავარსარდლობის ხელში ის საშუალება აღმოჩნდა, რომლის დახმარებითაც მოსახერხებელი გახდა უმაგალითო მოკლე დროში ჰიტლერელთა რჩეული არმიების გარშემორტყმის განხორციელება.

სტალინგრადის ბრძოლამ საფუძველი ჩაუყარა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში ძირეულ გარდატეხას. სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ აღაფრთოვანა ევროპის ყველა ჩაგრული ხალხები ფაშიზმის წინააღმდეგ კიდევ უფრო გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

მაგრამ მტერი ვარაუდობდა რევანში მოეხდინა. რადგან დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტი არ იყო, ჰიტლერულმა სარდლობამ შეძლო მოეხსნა იქიდან თავისი ბევრი ნაწილი. გადმოეყვანა ისინი აღმოსავლეთის ფრონტზე და 1943 წლის ზაფხულს დაეწყო ახალი დიდი შემოტევა კურსკის რაიონში. ამ შემოტევის შედეგი ცნობილია. ჰიტლერელები განადგურებულ იქნენ.

კურსკის ბრძოლამ, რამაც ბოლო მოუღო მტრის შეტევ სტრატეგიას, მთელი დამაჯერებლობით გვიჩვენა, რომ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საქმე უიმედოდ წაგებულია. „თუ სტალინგრადთან ბრძოლა გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა“.

კურსკთან ჩვენი გამარჯვების შედეგად ჰიტლერელთა არმიამ დაიწყო სტრატეგიული თავდაცვა, და იგი იძულებული იყო ეს თავდაცვა ეწარმოებინა თვით კაპიტულაციამდე.

ძალღონით აღსავსე საბრძოლო გამოცდილებით გამდიდრებული შეხვდა ჩვენი არმია 1944 წელს, რაც გადამწყვეტი გამარჯვებებით დაგვირგვინდა. ათი მძლავრი სტალინური დარტყმა მივაყენეთ მაშინ მტერს. ჰიტლერელები განდევნილ იქნენ უკრაინის, ბელორუსიის, კარელია-ფინეთის, მოლდავეთის, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფარგლებიდან. ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო საზღვარი აღდგენილ იქნა მთელ მანძილზე შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე. ამ ბრწყინვალე გამარჯვებებმა წინასწარ გადაწყვიტეს მეორე მსოფლიო ომის შედეგი.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ მტერი კვლავ შეუპოვრად გვიწევდა წინააღმდეგობას. ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა არმიის წინაშე დასახა ისტორიული ამოცანა — საბოლოოდ გაენადგურებინათ ფაშისტური მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და აღემართათ ბერლინში გამარჯვების დროშა. სოციალიზმის ქვეყნის გმირმა მეომრებმა პირნათლად შეასრულეს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება და ევროპის ხალხები გაათავისუფლეს ფაშისტური მონობისაგან.

თავისი სამოკავშირეო ვალდებულებებისადმი ერთგულმა საბჭოთა კავშირმა ჰიტლერული გერმანიის განადგურების შემდეგ იარაღი მიმართა იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ. სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა მოკლე ვადაში გაანადგურეს კვანტუნის მილიონიანი არმია, რასაც მოჰყვა მეორე მსოფლიო ომის სწრაფი დამთავრება.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო ისტორიულმა გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში გამოხატა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განუზომელი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე გამარჯვება სტალინური სამხედრო მეცნიერების ტრიუმფია.

საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ყველა თავიანთ გამარჯვებას უნდა უმადლოდნენ კომუნისტური პარტიის სწორ ხელმძღვანელობას, მის ბრძნულ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკას, რაც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველია.

საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ისტორიული გამარჯვება განუყრელად დაკავშირებულია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელთან. ამხანაგი სტალინი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხალხის ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. უმაღლესი მთავარსარდლის გენიალური ჩანაფიქრითა და უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა და განხორციელდა ყველა გადამწყვეტი ოპერაცია.

* * *

ძლევამოსილად დაამთავრეს რა დიდი სამამულო ომი, საბჭოთა კავშირის ხალხები შეუდგნენ შემოქმედებით შრომას. წარმატებით არის შესრულებული პირველი ომისშემდგომი ხუთწლედი. უდიდესი შთაგონებით ახორციელებს ჩვენი ხალხი ახალ ხუთწლიან გეგმასაც. ამჟამად კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები, რომლებიც განსაზღვრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ, ის არის, რომ ავაშენოთ კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ვამაღლოთ საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, აღვზარდოთ საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან.

საბჭოთა ხალხი, რომელიც მშვიდობიან შემოქმედებით შრომას ეწევა თანმიმდევრულად და მტკიცედ იბრძვის მშვიდობისათვის. „საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი მთავარი საზრუნავი ის არის, — ამბობს ამხანაგი გ. მ. მალენკოვი, — რომ არ დავუშვათ ახალი ომი, ვიცხოვროთ მშვიდობიანად ყველა ქვეყანასთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას მიაჩნიათ, რომ ყველაზე სწორი, საჭირო და სამართლიანი საგარეო პოლიტიკაა ყველა ხალხს შორის მშვიდობის პოლიტიკა, დაფუძნებული ურთიერთნდობაზე, ქმედითი პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა ფაქტებს და დადასტურებულია ფაქტებით“.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ არ არის ისეთი სადავო ან გადაუწყვეტელი საკითხი, რომელთა მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაც არ შეიძლებოდეს დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა იმედით, დიდი მადლობის გრძნობით შესცქერის სსრ კავშირს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის უძლეველ ბურჯს. საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა — ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა — გადამწყვეტი დაბრკოლებაა ახალი იმპერიალისტური ომის გაჩაღების გზაზე და ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება.

იბრძვიან რა მშვიდობისათვის, სსრ კავშირის მშრომელებს მუდამ ახსოვთ თავიანთი წმიდა მოვალეობა — განამტკიცონ სამშობლოს ძლიერება.

საბჭოთა არმიის მამაცმა მეომრებმა დიდი სამამულო ომის წლებში პირნათლად შეასრულეს თავიანთი ვალი. საბჭოთა ხალხს შეუძლია ეჭვი არ იქონიოს, რომ ისინი კვლავაც იქნებიან თავიანთი ძლევამოსილი სამშობლოს ღირსეული შვილები.

## წერილები რედაქციას

### რაიონს ქვამარილით არ ამარაგებენ

დუშეთის რაიონი ძირითადად მეცხოველეობის რაიონია. ამიტომ მისი მარილით მომარაგება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. სამწუხაროდ, ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

საქონელს, განსაკუთრებით მოზარდეულს, აუცილებლად ესაჭიროება ქვამარილი. ქვამარილი საჭიროა პროდუქტების დასამზადებლად და შესანახადაც. მაგრამ მესამე წელია, რაც დუშეთის რაიონში არ შემოტანილა არც ერთი კილოგრამი ქვამარილი.

1949-50 წლებში რაიონში ჩამოიტანეს უხარისხო ზღვის მარილი. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ასეთმა მარილმა მეურნეობას ზიანი მიაყენა, რძე გაუშრო მეწველ საქონელს, გაამწარა და დაალპო ყველი.

კოლმეურნეობები იძულებული არიან ქვამარილი შემოზიდონ თიანეთის, მცხეთისა და სხვა რაიონებიდან, რაც ზედმეტ ხარჯებს იწვევს.

საჭიროა დუშეთის რაიონის კოლმეურნეობები უზრუნველყოფილ იქნას ქვამარილით.

**ი. ხორნაული.**

### გავაძლიეროთ ბავშვთა მეთვალყურეობა

ბავშვის აღზრდა რთული და სერიოზული საქმეა. სკოლების, აღსაზრდელთა სახლების და სხვა დაწესებულებათა მუშაობა სწორედ ამ ამოცანას ემსახურება. მაგრამ მარტო ეს როდია საკმარისი; ეს დაწესებულებები საქმეს კარგად ვერ წარმართავენ, თუ არ იქნა მოსახლეობის მასობრივი მხარდაჭერა. სამწუხაროდ, ყველა მოქალაქე როდი თვლის თავს ვალდებულად მიუთითოს ბავშვს შემჩნეულ უწესრიგობაზე ქუჩაში მოძრაობის დროს, ტრანსპორტით მგზავრობისას, სანახაობით დაწესებულებებში, საკოლმეურნეო ბაზრებში თუ სხვაგან.

მილიციის განყოფილებებთან არსებობს „ბავშვთა ოთახები". მათს ფუნქციას შეადგენს აღმზრდელობითი ღონისძიების გატარება — ბავშვებზე გავლენის მოხდენა დარიგებით, დარწმუნებით, რჩევით და სხვ. ბავშვთა მიერ წესრიგის დარღვევის ყოველი შემთხვევა მოქალაქეებმა უნდა აცნობონ „ბავშვთა ოთახებს".

უნდა გვახსოვდეს, რომ უყურადღებოდ მიტოვებული ბავშვი შეიძლება დაიღუპოს ფიზიკურადაც და მორალურადაც. საჭიროა დავამყაროთ მჭიდრო კავშირი „ბავშვთა ოთახებთან". ამით ხელს შევუწყობთ ჩვენი მომავალი თაობის წესიერად აღზრდის საქმეს.

**ა. დათიკაშვილი,**
ქ. თბილისის მილიციის მე-17 განყოფილების ბავშვთა ოთახის ინსპექტორი.



**თბილისი.** სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საწარმოებში მოწინავე სტახანოველები დადგნენ საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის მოწვევის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე და ენერგიულად იბრძვიან ყრილობის გახსნის დღისათვის მაისის დავალების შესასრულებლად. სურათზე: სტახანოველი მფთილავები ნ. თოფურია (მარჯვნივ) და ლ. ილინა, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 150 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო ვ. ზარიძისა.

## სამენი მასალები — ინდუსტრიული მეთოდით

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბეტონის ცენტრალურ კომბინატში წინათ ბლოკებს პრიმიტიული წესით ამზადებდნენ. ტექნიკურად სუსტი და მოუხერხებლად განლაგებული დანადგარები და მოწყობილობა მომსახურე პერსონალს აიძულებდა ბლოკების დასამზადებლად საჭირო მთელი რიგი ოპერაციები ხელით შეესრულებინა. ამის შედეგად კომბინატი საკმაო რაოდენობით ვერ ამზადებდა სამშენებლო ბლოკებს და ვერ აკმაყოფილებდა რუსთავის მშენებელთა გაზრდილ მოთხოვნილებას.

ამჟამად კომბინატში მუშაობს ბლოკების დამამზადებელი მძლავრი ქარხანა, სადაც ყველა საწარმოო პროცესი მთლიანად მექანიზებულია.

რუსთავის ბეტონის ცენტრალურ კომბინატში აითვისეს აგრეთვე დაძაბულ-არმირებული ძელფენილების დამზადება. ძელფენილებს ბეტონის ცენტრალურ კომბინატში წინათაც ამზადებდნენ, მაგრამ ახალი საამქროს ამუშავების შემდეგ იგი მოპირკეთებული გამოდის და დაუყოვნებლივ შეიძლება გამოიყენონ მშენებლებმა, ჭერ-იატაკისათვის, სართულთაშორისი გადასახურავად, ვინაიდან ასეთი ძელფენილი ხის მასალასთან შედარებით ბევრად იაფი ჯდება და უფრო გამძლეც არის.

ბეტონის ცენტრალური კომბინატის მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსმა რაციონალიზატორებმა მიზნად დაისახეს სეზონურობა დაძლიონ და ძელფენილების დამზადება აწარმოონ ზამთრის პირობებშიც. უკვე შემოტანილია რამდენიმე წინადადება, რომელთა განხილვა და სათანადო ცდებით შემოწმება დაწყებულია.

ბეტონის ცენტრალური კომბინატის კოლექტივმა მხარი დაუჭირა რუსთავის მშენებელთა მოწოდებას — შეუდგნენ დიდი პანელების დამზადებას ბინათმშენებლობისათვის. დიდი სამშენებლო პანელების ინდუსტრიული წესით დამზადება დაიწყეს კომბინატის რკინაბეტონის საამქროში.

ამას წინათ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა დიდპანელიანი მშენებლობის გამოცდილების მისაღებად ლენინგრადში საწარმოო პრაქტიკაზე მიავლინა ინჟინერ-მშენებლები ლ. შენგელიძე და ც. მუსერიძე, რომლებმაც დაამუშავეს ორსართულიანი (12-ოთახიანი) სახლის დიდი პანელებისაგან აგების პროექტი. მათი გამოანგარიშებით ამ სახლის ასაგებად სულ საჭირო იქნება 695 ცალი დიდი პანელი.

ბეტონის ცენტრალური კომბინატის კოლექტივი გაორკეცებული ენერგიით იბრძვის სასახელო საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება კომბინატმა 115 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1.118 ათასი მანეთის პროდუქცია.

ამ საქმეში დაწინაურდნენ ასფალტ-ბეტონისა და რკინა-ბეტონის საამქროთა კოლექტივები.

**გ. გელაშვილი.**

### ხეხილის ახალი ბაღები

**ბორჯომი.** („კომუნისტის" კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში წელს გაზაფხულზე გათვალისწინებული იყო 10 ჰექტარი თესლოვანი ხილის ახალი ბაღების გაშენება. დღეისათვის კოლმეურნეობებში უკვე გაშენებულია 12,1 ჰექტარი ხილის ბაღი. გარდა ამისა, აღდგენილია 28 ჰექტარი.

ხეხილის ახალი ბაღების გაშენებისა და აღდგენისათვის რაიონში შემოზიდულ იქნა 6.868 ძირი ორწლიანი ხილის ნერგი, აქედან 400 ძირი მიჩურინული ჯიშისა. ისინი გაეგზავნა რაიონის მაღალი მთის კოლმეურნეობებს — ბაკურიანს, ციხისჯვარს და ბალანთას.

### ქართველი მეცნიერი მუშაკები ლენინგრადში

ლენინგრადის ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში (დირექტორი აკადემიკოსი კ. ბიკოვი) მრავალი ეროვნების ადამიანს ნახავთ. აქ მუშაობენ მოძმე ჩინელი ხალხის წარმომადგენლები, რუმინეთისა და უნგრეთის ფიზიოლოგები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მოვლინებული ექიმები. ისინი ინსტიტუტის მრავალ განყოფილებასა და ლაბორატორიაში, ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი მეცნიერების ხელმძღვანელობით, წინ სწევენ და ავითარებენ პავლოვურ მეცნიერებას.

სისტემატურად და დაუღალავად ზრუნავენ ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის, გულისხმიერად ეხმარებიან მივლინებულ მეცნიერ მუშაკებს ინსტიტუტის წამყვანი პროფესორები აკადემიკოსი კ. მ. ბიკოვი, სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ნ. ჩერნიგოვსკი, ი. ტ. კურცინი, ე. შ. აირაპეტიანცი და სხვები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ყოველწლიურად გზავნის მეცნიერ მუშაკებს ლენინგრადის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. მივლინებაში მყოფი მეცნიერი მუშაკები წარმატებით ეუფლებიან პავლოვის მოძღვრებას, იბრძვიან მისი შემდგომი განვითარებისათვის.

მაგალითად, პროფესორ ი. ტ. კურცინის ხელმძღვანელობით სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობენ დოცენტი გ. მხეიძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ა. ჩაჩანიძე, მ. დადიანი, თ. გიორგობიანი. დოქტორანტურაში სწავლობს დოცენტი ო. გელაშვილი. საკანდიდატო დისერტაციები მზად აქვთ ასპირანტ ვ. ლეკიშვილსა და თ. ძიძიგურს. ასპირანტურაში წარმატებით სწავლობენ ვ. მოსიძე, ი. ანდღულაძე, ა. პაპავა.

ქართველი მეცნიერი მუშაკები მალე დაუბრუნდებიან თავიანთ კლინიკებს და პავლოვის გენიალური მოძღვრებით შეიარაღებულნი ახალი ენერგიით იმუშავებენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

**მ. დგებუაძე,**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ორდინატორი.
ქ. ლენინგრადი.

### რკინიგზის ბათუმის სადგურში

**ბათუმი.** (საკ. კორ.). წელს ბათუმი უამრავ დამსვენებელს მოელის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. რკინიგზის ბათუმის სადგურის კოლექტივი კარგად ემზადება მგზავრთა მომსახურებისათვის. ძირითადად დამთავრებულია ვაგზლის შენობის კაპიტალური რემონტი, შეკეთდა მგზავრთა დასვენების ოთახები, მოეწყო შხაპები.

ზაფხულის პერიოდში მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გახსნილია დამატებითი საბილეთო სალარო. დამსვენებელთათვის ადგილზე და ბინაზე ბილეთების მისატანად ერთის ნაცვლად გამოყოფილია სამი მოლარე. საზღვაო ვაგზალთან მოეწყობა მატარებლის ბილეთების გასაყიდი სალარო. შემოღებულია ავტოკარებისა და ავტომანქანების მორიგეობა ბარგის ბინაზე და დაწესებულებებში მისატანად.

## მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს კომუნიკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სტოკჰოლმი,** 6 მაისი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ პრესისათვის გადასცა კომუნიკე ბიუროს სხდომის შესახებ, რომელიც სტოკჰოლმში გაიმართა.

კომუნიკეში ნათქვამია:

„1953 წლის 5-6 მაისს სტოკჰოლმში გაიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სხდომა.

ბიურო მიესალმება საერთაშორისო კომისიის აქტს, რომელმაც ყველა მთავრობას გაუგზავნა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვა მოწოდებით, რომ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის გაიმართოს მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დადების მიზნით.

ბიურო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამ აქტს უკვე ფართოდ გამოეხმაურნენ მთელ მსოფლიოში; ბიურო მოუწოდებს ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობას მხარი დაუჭიროს ამ მიმართვას. ბიურო კვლავ ადასტურებს, რომ მოლაპარაკების გზით საკითხების გადაჭრამ უნდა გაიმარჯვოს ძალის გამოყენებით გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.

ბიურო ადასტურებს, რომ მარტივ ჭეშმარიტებებს, რომლებსაც მშვიდობისათვის მოძრაობა პროპაგანდას უწევდა მთელი რიგი წლების მანძილზე, აგრეთვე იმ გონივრულ წამოწყებებს, რომლებსაც იგი მხარს უჭერდა, ნაყოფი მოაქვთ. შეიქმნა ახალი ვითარება, რომელიც მოითხოვს ღონისძიებათა გაორკეცებას.

უკანასკნელი ამბების შედეგად მოლაპარაკების იდეას მილიონობით ახალი მომხრე გაუჩნდა. ეს ამბები ხალხებს უჩვენებენ, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი მოქმედებით მიაღწიონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, რაც ხელს შეუწყობს მათს საერთო კეთილდღეობას და აყვავების წყარო გახდება.

კორეაში განახლდა მოლაპარაკება. ხალხებმა უნდა მოითხოვონ, რომ ამ მოლაპარაკებამ უახლოეს დროში გამოიწვიოს დროებითი ზავის დადება და იმ კონფლიქტის მოწესრიგება, რომელიც ესოდენ ტანჯვას გვაყენებს და მთელ მსოფლიოში გავრცელების საფრთხეს ქმნის.

მშვიდობის შენარჩუნება აგრეთვე მოითხოვს, რომ გერმანიის პრობლემა გახდეს, ბოლოს, ოთხი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკების საგანი მისი მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით. არიან ძალები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. მაგრამ მშვიდობისმოყვარე ადამიანთა საღ აზრსა და სიფხიზლეს შეუძლია დაამარცხოს ეს ძალები. ეს მშვიდობისმოყვარე ადამიანები წინააღმდეგობას გაუწევენ ყოველგვარ მოქმედებას, ყოველგვარ ხრიკს, რომლებსაც კი შეუძლია შორს გადადოს ან სახელი გაუტეხოს მოლაპარაკებას. ისინი მთავრობებს მოსთხოვენ ყოველი ღონე იხმარონ, რათა მოლაპარაკება დაიწყოს და წარმატებით დამთავრდეს.

იმისათვის, რომ გამოძებნოს მოლაპარაკებისათვის ხელშემწყობი ახალი გზები და მშვიდობის დასაცავად აამოქმედოს ყველა, ვისაც უკანასკნელი ამბების გავლენით შეგნებული აქვს მოლაპარაკების საჭიროება და შესაძლებლობა, ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება 1953 წლის 15 ივნისს ბუდაპეშტში მოიწვიოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია.

მიიღებს რა მხედველობაში საერთაშორისო ცხოვრების უკანასკნელ ამბებს, სესია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა ყოველგვარ გარემოებაში გაიმარჯვოს მოლაპარაკების გზით მიღწეულმა გადაწყვეტილებებმა. სესიის მუშაობა თავის წვლილს შეიტანს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, ხელს შეუწყობს ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფას, მათი დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის საქმეს.

სტოკჰოლმი, 1953 წლის 6 მაისი".

### სირიის საზოგადო მოღვაწეთა მიმართვა

**ბეირუთი,** 7 მაისი. (საკდესი). ლიბანის გაზეთმა „ას-სარჰამ" გამოაქვეყნა სირიის 86 საზოგადო მოღვაწის მიმართვა ეგრეთწოდებული „შუა აღმოსავლეთის სარდლობის" საკითხზე. მიმართვაში ნათქვამია:

იმპერიალიზმის ძალები კვლავ განაგრძობენ ცდებს — შებოჭონ ჩვენი ქვეყანა სამხედრო ოკუპაციის პროექტებით... ცხადი გახდა, რომ „ერთობლივი თავდაცვის" პროექტი მიზნად ისახავს გადააქციოს ჩვენი ქვეყანა სამხედრო ბაზად და აღადგინოს ოკუპაციის რეჟიმი, გამოიყენოს მისი სიმდიდრეები და გაგზავნოს ჩვენი შვილები ბრძოლის ველებზე იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლად. იმპერიალისტების მიზანი ცხადია: ჩაახშონ ეროვნული მოძრაობა მაროკოსა და ტუნისში, შეინარჩუნონ ოკუპაციის რეჟიმი მდინარე ნილოსის ხეობაში, განამტკიცონ თავიანთი ბატონობა არაბთა ქვეყნებში და გადააქციონ მათი ტერიტორიები ბრძოლის ველებად და აგრესიის პლაცდარმებად".

შემდეგ მიმართვაში აღნიშნულია: „არაბ ხალხებსა, და მათ შორის სირიელ ხალხსაც, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუშალონ „ერთობლივი დაცვის" პროექტის განხორციელებას. ჩვენი სირიელი ხალხი, რომელიც თავისი გმირული ბრძოლით მუდამ ფუშავდა იმპერიალისტთა შეთქმულებებს, ერთსულოვნად უარყოფს ამ პროექტს, ისევე როგორც ყველა ასეთ პროექტს, რომელიც აბამს ჩვენს ქვეყანას იმპერიალიზმისა და ომის ეტლში. ჩვენ მოვითხოვთ ყველა პატიოსანი მოქალაქისაგან, რომელთაც აწუხებთ თავიანთი ქვეყნის უშიშროებისა და თავიანთი შვილების მომავლის საკითხი, ხელი მოაწერონ ამ მიმართვას და კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ საფრთხე ჩვენს ქვეყანას".

მიმართვას ხელს აწერენ მთელი რიგი ყოფილი დეპუტატები — მუნიციპალიტეტების წევრები, ადვოკატები და სირიის სხვა საზოგადო მოღვაწეები.

## როგორ მოვაწყოთ პარტიული განათლების სისტემაში შემაჯამებელი მეცადინეობა

ახლოვდება პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დასასრული. ამოცანა ის არის, რომ დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ პარტიული განათლების ყველა რგოლში მეცადინეობის წარმატებით დამთავრებისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მეცადინეობის ორგანიზებულობისა და იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, გააძლიერონ დახმარება კომუნისტებისადმი, რათა მათ ღრმად შეისწავლონ პარტიის XIX ყრილობის მასალები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა ი. ბ. სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა 1953 წლის 9 მარტის სიტყვები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის გადაწყვეტილებანი, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიის გადაწყვეტილებანი და მასალები.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა ახლავე უნდა მოაწყონ პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა სემინარები და მისცენ მათ დაწვრილებითი ინსტრუქტაჟი შემაჯამებელი მეცადინეობის ორგანიზაციისა და მეთოდიკის საკითხებზე, განუმარტონ ის თავისებურებანი, რომლებითაც ხასიათდება შემაჯამებელი მეცადინეობა მიმდინარე სასწავლო წელს.

მიმდინარე სასწავლო წლის თავისებურებანი გამოწვეულია იმით, რომ იანვრიდან პარტიული განათლების ქსელი სწავლობს პარტიის XIX ყრილობის მასალებს, სასწავლო წლის მეორე ნახევარში შეიქმნა ი. ბ. სტალინის ახალი გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" შემსწავლელი წრეები და სემინარები და ამ ნაშრომის შესწავლას შეუდგნენ ზოგიერთი სახის წრეები და სკოლები, რომლებიც სასწავლო წლის პირველ ნახევარში სხვა საპროგრამო მასალას სწავლობდნენ. ამან განსაზღვრა შემაჯამებელ მეცადინეობაზე გასაუბრების მასალის მოცულობა და თვით მეცადინეობის დამთავრების ვადებიც.

სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში, ისევე როგორც გასულ წელს, მთავრდება სოფლად მაისის, ხოლო ქალაქად ივნისის ბოლოს, მაგრამ ზოგიერთი პოლიტსკოლისა და წრისათვის დაშვებულია მეცადინეობის გაგრძელება. მაგალითად, იმ პოლიტსკოლებსა, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ წრეებსა და პარტიის ისტორიის შემსწავლელ ძირითადი ტიპის წრეებში, სადაც შეუსწავლელი რჩება 2-3 თემა (ორი-სამი მეცადინეობა), შესაძლებელია მეცადინეობის გაგრძელება. მაგრამ თუ სასწავლო გეგმის გავლაში უფრო დიდი ჩამორჩენაა, მაშინ დარჩენილი მასალის შესწავლა გადატანილ უნდა იქნას მომავალი სასწავლო წლისათვის.

პარტიის ისტორიის შემსწავლელ მაღალი ტიპის პირველი წლის წრეებში მეცადინეობა მთავრდება ჩვეულებრივ ვადებში, მეორე წლის წრეებში კი მიზანშეწონილია მეცადინეობა დამთავრდეს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" XII თავის შესწავლით.

ი. ბ. სტალინის ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" შესწავლა ჩვეულებრივ ვადებში უნდა დამთავრდეს, ხოლო დარჩენილი მასალის შესწავლა გადატანილ იქნას მომავალი სასწავლო წლისათვის. ასევე უნდა მოვიქცეთ პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეების მიმართ.

უფრო თავისებური მდგომარეობაა საღამოს რაიონულ პარტიულ სკოლებში. პირველი წლის პარტიული სკოლები მეცადინეობას ამთავრებენ ჩვეულებრივ ვადებში, ხოლო დარჩენილი მასალის შესწავლა გადატანილ იქნება მომავალი სასწავლო წლისათვის. მეორე წლის პარტიულ სკოლებში სასურველია სასწავლო გეგმის შესრულება დამთავრდეს მიმდინარე სასწავლო წელს და მოხდეს სკოლების გამოშვება. ეს მოსახერხებელია, რადგან ნებადართულია შემცირდეს საათების რაოდენობა იმ თემებისა პარტიის ისტორიის, ეკონომიკის, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის კურსიდან, რომელთა საკითხები შეთვისებული იქნა ყრილობის მასალების გავლის დროს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ პარტიული და საბჭოთა მშენებლობის კურსი. ამ საგანში ბევრია ისეთი თემა, რომელიც უკვე შესწავლილია პარტიის ახალი წესდების გავლისას. ასევე შეიძლება ითქვას ეკონომიკის კურსის მთელ რიგ თემებზე. საქმე ის არის, რომ საგნის მასწავლებლებმა კარგად მოიფიქრონ, სახელდობრ რომელი თემის საათები შეიძლება შეიკვეცოს ისე, რომ შეუსწავლელი არ დარჩეს რომელიმე საკითხი.

მიმდინარე სასწავლო წლის ერთ-ერთი თავისებურებაა აგრეთვე ის, რომ პოლიტსკოლებში, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ წრეებში და პარტიის ისტორიის შემსწავლელ ძირითადი ტიპის წრეებში შემაჯამებელი მეცადინეობა ეწყობა არა მთელი წლის განმავლობაში გავლილი მასალის ფარგლებში, არამედ მხოლოდ ყრილობის მასალებზე.

პარტიის ისტორიის შემსწავლელ მაღალი ტიპის წრეებში შემაჯამებელი მეცადინეობა ეწყობა პარტიის ისტორიაში წლის მანძილზე გავლილი მასალის ფარგლებში, ისე რომ იგი დაკავშირებულ იქნას პარტიის XIX ყრილობის მასალებთან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა 1953 წლის 9 მარტის გამოსვლებთან და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის გადაწყვეტილებებთან.

ამავე წესით ჩატარდება შემაჯამებელი მეცადინეობა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელ წრეებში.

ი. ბ. სტალინის ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" შემსწავლელ წრეებსა და სემინარებში შემაჯამებელი მეცადინეობა უნდა მოეწყოს ამ ნაშრომის წლის განმავლობაში გავლილი თემების ფარგლებში. ასევე მოხდება პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ წრეებში, ხოლო აქტივის სემინარებში გასაუბრება იწარმოებს მთელი წლის განმავლობაში შესწავლილ ნაწარმოებებზე.

შემაჯამებელი მეცადინეობა პარტიულ სწავლებაში უაღრესად პასუხსაგები მომენტია, იგი პარტიული განათლების ქსელის მუშაობის დასკვნითი ეტაპია. ამ დროს მოწმდება, თუ რამდენად ღრმად და მტკიცედ შეითვისეს მსმენელებმა გავლილი მასალა, რამდენად ამაღლდა მათი იდეურ-თეორიული დონე და გაფართოვდა პოლიტიკური ჰორიზონტი.

შემაჯამებელი მეცადინეობის მნიშვნელობა იმითაც გამოიხატება, რომ ამ დროს ხდება არა მარტო ცოდნის შემოწმება, არამედ გავლილი მასალის გამეორება და მეხსიერებაში განმტკიცებაც. ამასთან შემაჯამებელ მეცადინეობაზე თვითეული მსმენელი კოლექტივის წინაშე აბარებს ერთგვარ ანგარიშს, თუ როგორ მუშაობდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის. ეს მომენტი აძლიერებს კომუნისტთა პასუხისმგებლობას საკუთარი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის.

სავსებით გასაგებია, რომ შემაჯამებელი მეცადინეობა უნდა მოეწყოს თავის დროზე და ყოველმხრივ მომზადებულად.

პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და პროპაგანდისტთა უშუალო მონაწილეობით უნდა გასინჯონ თვითეული პოლიტსკოლა და წრე, საღამოს პარტიული სკოლა და სემინარი, გამოარკვიონ სასწავლო გეგმის გავლის მდგომარეობა და ამის საფუძველზე განსაზღვრონ, თუ სად, როდის შეიძლება მოეწყოს შემაჯამებელი მეცადინეობა, და ამრიგად შეადგინონ პარტიული განათლების მთელ ქსელში შემაჯამებელი მეცადინეობის კალენდარული გეგმა ქალაქის, რაიონის მასშტაბით.

შემაჯამებელი მეცადინეობა შეიძლება ჩატარდეს 2-3, იმისდამიხედვით, თუ როგორია გავლილი მასალის მოცულობა. ამასთან თვითეული მეცადინეობა ნაცვლად ჩვეულებრივი 2 საათისა შეიძლება გაგრძელდეს 3-4 საათს. ეს თავიდანვე უნდა გაითვალისწინოს პროპაგანდისტმა.

აუცილებელია შევნიშნოთ, რომ შემაჯამებელი მეცადინეობა არ შეიძლება გადაქცეულ იქნას სასკოლო ტიპის გამოცდებად (ინდივიდუალური გამოძახება და გამოკითხვა მთელი მასალის ფარგლებში, ნიშნების დასმა და სხვ.). იგი არ შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე სკოლარული კითხვა-პასუხის მეთოდით. შემაჯამებელი მეცადინეობა ტარდება პარტიული განათლების სისტემაში მიღებული ჩვეულებრივი მეცადინეობის სახით — გაშლილი ამხანაგური საუბრის მეთოდით.

შემაჯამებელი მეცადინეობა ყოველმხრივ უნდა იქნას მომზადებული. ამისათვის უნდა მოემზადოს თვით პროპაგანდისტი. მან უნდა შეადგინოს გასაუბრების გეგმა, რომელშიც შეტანილი იქნება გავლილი მასალის ძირითადი, საკვანძო საკითხები. კითხვები დგება თვითეული შემაჯამებელი მეცადინეობისათვის ცალკე. მაგალითად, თუ ორი მეცადინეობა ტარდება, მთელი მასალა იყოფა ორად, ხოლო თუ სამი მეცადინეობა ტარდება, მასალაც სამ ნაწილად იყოფა და ამ ნაწილების მიხედვით დგება კითხვები. მიზანშეწონილია თვითეული მეცადინეობისათვის გათვალისწინებულ იქნას 8-10 ან 12 კითხვა. ეს გეგმა აუცილებელია განხილულ და მოწონებულ იქნას პროპაგანდისტთა სემინარზე, ხოლო თვითეულ პროპაგანდისტს შეუძლია შეიტანოს მასში ცვლილებები, თუ ეს აუცილებელია, მის პოლიტსკოლაში ან წრეში ფაქტიურად გავლილი მასალის მოცულობის შესაბამისად ან სხვა თავისებურების გამო. პროპაგანდისტი ვალდებულია აგრეთვე წინასწარ მოამზადოს და შემაჯამებელ მეცადინეობაზე იქონიოს ის ძირითადი თვალსაჩინოებანი (რუკები, დიაგრამები, სქემები და სხვა), რასაც ის სწავლების პროცესში იყენებდა.

შემაჯამებელი მეცადინეობისათვის უნდა მოემზადონ მსმენელები. მათ უნდა იცოდნენ (სასურველია მათივე მონაწილეობით მოხდეს შერჩევა) — რა რიცხვებსა და რომელ საათებში იწარმოებს შემაჯამებელი მეცადინეობა, ამასთან მსმენელებს დროულად უნდა ეცნობოთ, რომელ მეცადინეობაზე რა მასალის ფარგლებში იქნება გასაუბრება, რათა მათ საშუალება მიეცეთ გაიმეორონ გავლილი მასალა. ერთი შემაჯამებელი მეცადინეობიდან მეორემდე დაცულ უნდა იქნას გარკვეული ინტერვალი. მიზანშეუწონელია, როცა მეცადინეობა ზედიზედ ტარდება. მართალია, ახლა მოუხერხებელია ერთი შემაჯამებელი მეცადინეობა მთელი კვირით დაშორდეს მეორეს, როგორც ამას წლის განმავლობაში აქვს ადგილი, მაგრამ სასურველია ერთი მეცადინეობიდან მეორემდე იყოს 2-3 თავისუფალი დღე.

შემაჯამებელ მეცადინეობას ესწრება პირველადი პარტიული ორგანიზაციის, ქალაქკომის, რაიკომის წარმომადგენელი, მაგრამ, როგორც წესი, მეცადინეობას პროპაგანდისტი ატარებს.

სასწავლო წლის შედეგების გაცნობა ხდება უკანასკნელ შემაჯამებელ მეცადინეობაზე. აქ პროპაგანდისტი მთელი კოლექტივის წინაშე აცხადებს თვითეული მსმენელის მეცადინეობის შედეგებს, ვრცლად ახასიათებს ვინ როგორ მეცადინეობდა და რა შედეგებს მიაღწია თავის იდეურ-თეორიული დონის ამაღლების საქმეში. უნდა ითქვას მათ შესახებ, ვინც ჩამორჩება, და რჩევა უნდა მიეცეთ მომავალ წელსაც განაგრძონ მეცადინეობა იმავე ტიპის პოლიტსკოლასა თუ წრეში. ამ გზით შეჯამებული მასალა გადაეგზავნება პარტიის ქალაქკომს, რაიკომს.

არის ახალი მომენტი წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებთან შემაჯამებელი თეორიული გასაუბრების ორგანიზაციაშიც.

მიმდინარე წელს, გასული წლებისაგან განსხვავებით, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებისა და XIX ყრილობის დადგენილებებისა და მასალების დამოუკიდებლად შემსწავლელ კომუნისტებთან შემაჯამებელი ჯგუფური თეორიული გასაუბრება და სემინარული მეცადინეობა ტარდება პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში, აგრეთვე პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, ამასთან გასაუბრებას აწარმოებს არა უსათუოდ ის კონსულტანტი, რომელიც წლის განმავლობაში მუშაობდა დამოუკიდებლად მომუშავეებთან, არამედ ამისათვის გამოყოფილი კვალიფიციური ლექტორები და კონსულტანტები.

რაიკომმა, ქალაქკომმა წინასწარ უნდა განსაზღვროს რომელ დღეს დამოუკიდებლად მომუშავეთა რომელ ჯგუფთან იქნება გასაუბრება. ამასთან ყოველ ცალკე გასაუბრებაზე მოწვეულ უნდა იქნან ერთისა და იმავე საგნის შემსწავლელი ამხანაგები და ლექტორი. კონსულტანტიც ამ სპეციალობის მიხედვით უნდა იქნას შერჩეული.

სწორად იქცევიან ის რაიკომები და ქალაქკომები, რომლებიც რაიკომსა და ქალაქკომში გასაუბრებისათვის იწვევენ უმთავრესად რაიონის, ქალაქის პარტიულ-საბჭოთა აქტივს, ხოლო დანარჩენებთან გასაუბრებას აწყობენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, ამასთან წინასწარ საზღვრავენ სად შეიძლება წლის განმავლობაში მომუშავე კონსულტანტმა ჩაატაროს გასაუბრება და სად იქნას გამოყოფილი საამისოდ კვალიფიციური ლექტორი, კონსულტანტი.

ლექტორი, კონსულტანტი დააყენებს ძირითად კითხვებს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა მიერ წლის განმავლობაში გავლილი მასალიდან, გამართავს გასაუბრებას და ამ გზით შეამოწმებს ცოდნას. შესაძლებელია აგრეთვე მოსმენილ იქნას დამოუკიდებლად მომეცადინეთა მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცალკეულ საკითხებზე შედგენილი რეფერატები და მოხსენებები და ამ საშუალებითაც იქნას შემოწმებული და შეფასებული თვითეულის ცოდნა.

უდავოა, რომ შემაჯამებელი თეორიული გასაუბრების ჩატარების ეს წესი აძლიერებს კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლების საქმისადმი კონტროლს, საგრძნობლად ამაღლებს თვით კომუნისტთა პასუხისმგებლობის გრძნობას და საშუალებას იძლევა არსებითად იქნას შემოწმებული პარტიული და საბჭოთა აქტივის მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების მდგომარეობა.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ყოველნაირად უნდა დაეხმარონ პარტიული განათლების ყველა ფორმაში გაერთიანებულ კომუნისტებს წარმატებით მოემზადონ შემაჯამებელი მეცადინეობისათვის.

პარტიული კომიტეტების ბიბლიოთეკებმა ფართოდ უნდა მოაწყონ ლექციები, საუბრები და კონსულტაციები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებსა და პარტიის XIX ყრილობის მასალებზე, ამასთან მთელ ამ ღონისძიებათა გეგმა დროულად აცნობონ პარტიული განათლების ქსელში გაერთიანებულ ყოველ კომუნისტს.

სასწავლო წლის დამთავრებასთან ერთად უნდა შევუდგეთ მზადებას ახალი სასწავლო წლისათვის, აგვისტომდე დავამთავროთ პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება, შევარჩიოთ პროპაგანდისტთა კადრები და დავსახოთ მათი გადამზადების კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უახლოეს დროში ბოლომდე აღმოფხვრან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის ამხ. ა. მგელაძისა და მის ამყოლთა მუშაობის მანკიერი სტილის — უხეში ადმინისტრირების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჩახშობის, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და მთელი იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობის შედეგები და თავიანთი ყურადღების ცენტრში დააყენონ იდეოლოგიური მუშაობა, პარტიისა და სახელმწიფოს კადრების, ყველა კომუნისტის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის უმნიშვნელოვანესი საქმე.

**ვ. ესაიაშვილი.**

# მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 7 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციის მიერ დღეს გამოქვეყნებული კომუნიკეს შემდეგ ტექსტს.

7 მაისს ორივე მხარის დელეგაციების სხდომაზე კორეა-ჩინეთის მხარემ კორეაში ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით გადადგა ახალი დიდი კონსტრუქციული ნაბიჯი, რომლის მიზანია სამხედრო ტყვეთა მთელი საკითხის მოწესრიგება. იმის შედეგად, რომ მეორე მხარე დაჟინებით მოითხოვს წინასწარი პირობის მიღებას, რაც იმით გამოიხატება, რომ სამხედრო ტყვეები, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, უნდა დარჩნენ კორეაში და მათ დროებით მეურვეობა უნდა გაუწიოს ნეიტრალურმა სახელმწიფომ, კორეაში დაზავების განხორციელებას კვლავ გადაეღობება ღონისძიებებისა და პროცედურის საკითხთან დაკავშირებული სიძნელეები, ხოლო მთელი მსოფლიოს ხალხთა მხურვალე იმედი, რომ კორეაში მოხდება დაზავება, კვლავ განუხორციელებელი დარჩება. ამიტომ კორეა-ჩინეთის მხარემ, რომელიც უფლებას იტოვებს შემდეგში შეიტანოს თავისი 26 აპრილის წინადადება იმ სამხედრო ტყვეთა ნეიტრალურ სახელმწიფოში გაგზავნის შესახებ, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, და ცდილობს შეუთანხმდეს მეორე მხარეს მისი წინასწარი პირობის საკითხში, შეიტანა ახალი წინადადებანი.

7 მაისის სხდომაზე გენერალმა ნამ ირმა განაცხადა:

ჩვენი მხარის მიერ 26 აპრილს შემოტანილ კონკრეტულ წინადადებაში იმ სამხედრო ტყვეთა ბედის საკითხის გადაჭრა, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, ემყარება წინადადებას, რომ ისინი გაიგზავნებიან ნეიტრალურ სახელმწიფოში. მაგრამ უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში მოლაპარაკების მსვლელობამ ცხადყო, რომ თქვენი მხარე ცდილობს გვერდი აუაროს ჩვენი მხარის ამ წინასწარ პირობას, მოითხოვს რა, რომ უწინარეს ყოვლისა გადაწყდეს ნეიტრალური სახელმწიფოს კანდიდატურის საკითხი და ცდილობს ამრიგად განახორციელოს თქვენი მხარის მიერ წარმოდგენილი წინასწარი პირობა, რაც იმით გამოიხატება, რომ სამხედრო ტყვეები, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, უნდა დარჩნენ კორეაში, სადაც მათ დროებით მეურვეობას გაუწევს ნეიტრალური სახელმწიფო.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ორი ზემოხსენებული წინასწარი პირობა სრულიად სხვადასხვაგვარია. სხვადასხვაგვარი წინასწარი პირობების დროს უნდა იყოს სხვადასხვაგვარი წინადადებებიც სამხედრო ტყვეთა ბედის საკითხზე.

ჩვენი მხარის წინადადება ითვალისწინებს, რომ კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეები, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, უნდა გაიგზავნონ ნეიტრალურ სახელმწიფოში, განთავისუფლდნენ თქვენი მხარის კონტროლისაგან, ისინი უნდა მიიღოს და მეურვეობა გაუწიოს ამ ნეიტრალურმა სახელმწიფომ; რომ შემდეგში ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად, რომელსაც მათ შორის განახორციელებს ჩვენი მხარის მიერ ნეიტრალურ სახელმწიფოში გაგზავნილი პერსონალი, მათი შიში გაქარწყლდება და ისინი შეძლებენ გამოთქვან თავიანთი ნება; და რომ ამის შემდეგ ნეიტრალური სახელმწიფოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყონ რეპატრიაციის მსურველი ყველა სამხედრო ტყვის დაბრუნება სამშობლოში. თქვენი მხარის წინადადება კი ითვალისწინებს, რომ სამხედრო ტყვეები, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, უნდა დარჩნენ რაიონში, რომელიც მათი დამტყვევებელი მხარის კონტროლს ექვემდებარება. სავსებით ცხადია, რომ ეს სამხედრო ტყვეებს არ მისცემს შესაძლებლობას სავსებით განთავისუფლდნენ დამტყვევებელი მხარის კონტროლისაგან. უფრო მეტიც, ნეიტრალური სახელმწიფო დიდ სიძნელეებს წააწყდება რაიონში, რომელსაც კონტროლს უწევს დამტყვევებელი მხარე, სამხედრო ტყვეების სამეურვეოდ მიღების საქმეში, რომელთა რიცხვი, როგორც თქვენ ამტკიცებთ, დიდია. ამავე დროს ასეთი სიტუაცია არ უზრუნველყოფს თავისუფლებასა და საჭირო პირობებს იმისათვის, რომ სათანადო მხარემ განახორციელოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ზემოხსენებული ორი წინადადებიდან ჩვენი მხარის წინადადება უფრო შეესაბამება ჟენევის 1949 წლის კონვენციის პრინციპებს და საერთაშორისო პრაქტიკას და მას შეიძლება მოჰყვეს სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხის სამართლიანი გადაჭრა.

მაგრამ განხილვის მსვლელობაში უკანასკნელი ათი დღის მანძილზე თქვენი მხარე დაჟინებით მოითხოვდა თქვენ მიერ წარმოდგენილი წინასწარი პირობის მიღებას, რაც იმით გამოიხატება, რომ სამხედრო ტყვეები, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, უნდა დარჩნენ კორეაში, სადაც მათ მეურვეობას გაუწევს ნეიტრალური სახელმწიფო. თქვენი მხარის ასეთი დაჟინება კვლავ დააბრკოლებს კორეაში დაზავების განხორციელებას იმდენად, რამდენადაც წარმოიშობა ღონისძიებათა და პროცედურის საკითხი. ამის შედეგად კვლავ ლახვარი ჩაეცემა ორივე მხარის ქვეყნების ხალხთა, ვისი შვილებიც იბრძვიან კორეაში, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანთა მხურვალე მისწრაფებას დაზავებისადმი. ზემოაღნიშნულის გამო მე ვაცხადებ, რომ, ვტოვებთ რა უფლებას კვლავ წამოვაყენოთ ჩვენი მხარის 26 აპრილის წინადადება, ჩვენ შემოგვაქვს შემდეგი წინადადებანი:

ჩვენ მზადა ვართ შევეცადოთ მივიღოთ თქვენი მხარის წინასწარი პირობა იმის შესახებ, რომ სამხედრო ტყვეები, რომლებიც არ იქნებიან უშუალოდ რეპატრიირებულნი, დარჩებიან იქ, სადაც ისინი დაკავებული არიან ამჟამად, და გადაეცემიან ნეიტრალურ სახელმწიფოს, რომელმაც უნდა განახორციელოს მათი რეპატრიაცია.

მე უნდა აღვნიშნო, რომ წინადადება რომელიც 26 აპრილს წარმოადგინა ჩვენმა მხარემ, უფრო გონივრულია, ვიდრე ახალი წინადადება, რომელიც ემყარება თქვენი მხარის წინასწარ პირობას. ჩვენი ახალი წინადადება შემდეგია:

1. ორი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ძალაში შევა შეთანხმება დაზავების შესახებ, ორივე მხარემ შეუფერხებლად უნდა განახორციელოს რეპატრიაცია და გადასცეს ჯგუფ-ჯგუფად ყველა სამხედრო ტყვე, რომელიც რეპატრიაციას მოითხოვს, იმ მხარეს, რომელსაც ეს სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან, როგორც ამას ითვალისწინებს დაზავების შესახებ შეთანხმების მე-3 მუხლის 51-ე პარაგრაფი, და იმ საბოლოო სიების შესაბამისად, რომლებიც გაცვალა ორივე მხარემ და რომლებიც შემოწმებულია ორივე მხარის მიერ.

2. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას იმ სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნება, რომლებიც არ იქნებიან უშუალოდ რეპატრიირებულნი, ორივე მხარე თანახმაა შეიქმნას ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან სარეპატრიაციო კომისია, რომელშიც თანაბარი რაოდენობით დანიშნავს წარმომადგენლებს შესაბამისად ხუთი ქვეყანა, სახელდობრ: პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, შვეცია — დაზავების შესახებ შეთანხმების მე-2 მუხლის 37-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ოთხი ქვეყანა და ინდოეთი — ორივე მხარეს შორის შეთანხმებით.

3. ორივე მხარის ყველა სამხედრო ტყვე, გარდა იმ სამხედრო ტყვეებისა, რომლებიც უშუალოდ იქნებიან რეპატრიირებულნი, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ წინადადების 1-ლი პარაგრაფით, განთავისუფლებულ უნდა იქნან დამკავებელი მხარის სამხედრო კონტროლისა და მეურვეობისაგან იმ ადგილას, სადაც ისინი დაკავებული არიან ამჟამად, და უნდა გადაეცნენ ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შექმნილ სარეპატრიაციო კომისიას, რომელიც გათვალისწინებულია ამ წინადადების მე-2 პარაგრაფით, და რომელიც მათ მიიღებს და მეურვეობას გაუწევს. ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შექმნილი სარეპატრიაციო კომისია აღჭურვილი უნდა იქნას უფლებით, რომ განახორციელოს თავისი კანონიერი ფუნქციები და კონტროლი სამხედრო ტყვეებისადმი, რომლებიც ამ კომისიის დროებით იურისდიქციას დაექვემდებარებიან, რათა უზრუნველყონ კომისიის უფლებათა ეფექტიანი განხორციელება, ხსენებული სარეპატრიაციო კომისიის წევრმა ქვეყნებმა თანაბარი რაოდენობით უნდა გამოგზავნონ შეიარაღებული ძალები თვითეული ქვეყნისაგან.

4. ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან შემდგარმა სარეპატრიაციო კომისიამ მას შემდეგ, რაც იგი მიიღებს სამეურვეოდ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც არ იქნებიან უშუალოდ რეპატრიირებულნი, დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ დაწესებული დროის — ოთხი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან შექმნილი სარეპატრიაციო კომისია თავის სამეურვეოდ მიიღებს სამხედრო ტყვეებს, ქვეყნები, რომლებსაც ეს სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან, სარგებლობდნენ თავისუფლებითა და შესაძლებლობით — გაგზავნონ თავიანთი პერსონალი სამხედრო ტყვეთა დაკავების ადგილებში ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის ყველა სამხედრო ტყვეთა შორის, რომლებიც ამ ქვეყნებს ეკუთვნიან, რათა გაუქარწყლონ მათ შიში და აცნობონ ყველაფერი, რაც შეეხება მათ სამშობლოში დაბრუნებას, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მათ სრული უფლება აქვთ დაბრუნდნენ შინ და მშვიდობიანად იცხოვრონ.

5. ოთხი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან შექმნილი სარეპატრიაციო კომისია თავის სამეურვეოდ მიიღებს სამხედრო ტყვეებს და ქვეყნები, რომლებსაც ეს სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან, განახორციელებენ სათანადო ახსნა-განმარტებას, ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან შექმნილმა სარეპატრიაციო კომისიამ უნდა უზრუნველყოს ყველა იმ სამხედრო ტყვის სწრაფად დაბრუნება სამშობლოში, რომლებიც რეპატრიაციას მოითხოვენ, ხოლო დამკავებელმა მხარემ არავითარი დაბრკოლება არ უნდა შეუქმნას ამას. ასეთი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის ადმინისტრაციული დეტალები მოწესრიგებულ უნდა იქნას ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან შექმნილ სარეპატრიაციო კომისიასა და ორივე მხარეს შორის კონსულტაციის საშუალებით.

6. თუ დაწესებული დროის — ოთხი თვის გასვლის შემდეგ, რაც გათვალისწინებულია ამ წინადადების მე-4 და მე-5 პარაგრაფებით, ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან შექმნილ სარეპატრიაციო კომისიის მეურვეობაში კიდევ დარჩებიან სამხედრო ტყვეები, მათი ბედი უნდა გადაწყდეს დაზავების შესახებ შეთანხმების მე-4 მუხლის მე-60 პარაგრაფით გათვალისწინებულ პოლიტიკურ კონფერენციაზე კონსულტაციის გზით.

7. სამხედრო ტყვეთა მთელი ხარჯები ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან შექმნილი სარეპატრიაციო კომისიის მეურვეობაში მათი ყოფნის დროს, მათ შორის სამხედრო ტყვეთა სამშობლოში დაბრუნების საგზაო ხარჯები, უნდა იკისრონ ქვეყნებმა, რომლებსაც სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან.

8. ამ წინადადების პირობები და მასთან დაკავშირებული ღონისძიებანი უნდა ეცნობოს ყველა სამხედრო ტყვეს.

* * *

მეორე მხარემ შეიტანა წინადადება შეწყდეს სხდომები 9 მაისის 11 საათამდე, რათა მას საშუალება მიეცეს შეისწავლოს კორეა-ჩინეთის მხარის ახალი წინადადება. კორეა-ჩინეთის მხარე დათანხმდა ამაზე.

## კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

### სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 7 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის განმავლობაში ფრონტებზე წარმოებდა საარტილერიო სროლა.

სახალხო არმიის სანაპირო არტილერიამ ქალაქ კიმ ჩაკის რაიონის სანაპიროსთან ჩაძირა მოწინააღმდეგის სამხედრო გემი.

დღეს თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი.

## ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას პოლონეთსა და ინდონეზიას შორის

ჯაკარტა, 7 მაისი. (საკდესი). 20 მარტიდან 6 მაისამდე ჯაკარტაში მიმდინარეობდა სავაჭრო მოლაპარაკება ინდონეზიისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის. მოლაპარაკება დამთავრდა იმით, რომ ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას ერთი წლის ვადით. შეთანხმებით თვითეულმა მხარემ უნდა შეისყიდოს 1.800 ათასი გირვანქა სტერლინგის საქონელი.

## ეგვიპტური პრესა ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ

კაირო, 7 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ალ-აჰრამი" ეხება ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკების შეწყვეტას და წერს: ეგვიპტის მხარე მტკიცედ მოითხოვს, რომ ვიდრე სუეცის არხის ზონიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციის დეტალების განხილვა დაიწყებოდეს, საჭიროა გამორკვეულ და შეთანხმებულ იქნას ევაკუაციის საერთო ძირითადი პრინციპები. მაგრამ ინგლისს, აღნიშნავს გაზეთი, სურს ეს პრინციპები შეიმუშაონ უფრო გვიან იმ კომიტეტებმა, რომლებიც დაინიშნება მოლაპარაკების მსვლელობაში. გაზეთი „ალ-აჰბარი" აცხადებს, რომ, ეგვიპტის მხარის აზრით, ინგლისის პოზიცია ისეთია, რომ მოიგოს დრო და მიიღოს შესაძლებლობა ერთხანს კიდევ ევაჭროს მოწინააღმდეგეს.

გაზეთ „ალ-აჰრამის" ცნობით, უთანხმოებამ თავი იჩინა აგრეთვე ინგლისის ჯარების გაყვანის შესახებ ეგვიპტის მოთხოვნის ინტერპრეტაციის საკითხში. მაშინ როცა ეგვიპტე მტკიცედ მოითხოვს სრულ ევაკუაციას, ინგლისის მოთხოვნაა, რომ ინგლისის ჯარისკაცების ერთი ნაწილი დარჩეს ბაზაში როგორც ექსპერტები. როგორც გაზეთი წერს, ინგლისი წინადადებას იძლევა დატოვოს 6 ათასი ასეთი ექსპერტი. ეგვიპტემ, აღნიშნავს გაზეთი, უარყო ინგლისელთა პრეტენზია და ამიტომ ინგლისის მხარემ ითხოვა მოლაპარაკების დროებით შეწყვეტა. მოლაპარაკების შეწყვეტის ვადა განსაზღვრული არ არის.

როგორც გაზეთი „ალ-აჰბარი" აღნიშნავს, ეგვიპტე მტკიცედ მოითხოვს, რომ მოლაპარაკებას საფუძვლად დაედოს შემდეგი პრინციპები: სრული ევაკუაცია თავდაცვის რაიმე იმ პროექტთან დაუკავშირებლად, რომელმაც უნდა შეცვალოს ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის გაუქმებული ხელშეკრულება; ბაზა სუეცის არხის ზონაში პირწმინდა ეგვიპტურია და იქ სათანადო წესრიგის დაცვა ეგვიპტის არმიამ უნდა იკისროს; გადაჭრა საკითხისა ექსპერტებით ბაზის უზრუნველყოფის შესახებ, თუ ექსპერტები საჭირო იქნა, ეგვიპტეს უნდა მიენდოს.

## რეიტერის სააგენტო არაბთა სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის შესახებ

ლონდონი, 7 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან გადმოგვცემს:

„არაბთა სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელიც კაიროში გაიხსნება 7 მაისს, განიხილავს ეგვიპტის ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების სრული ევაკუაციის შესახებ ეგვიპტის მოთხოვნისათვის მხარდაჭერის საკითხს. როგორც აქ გამოაცხადეს, თათბირი გაიმართება ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის მაჰმუდ ფავზის თავმჯდომარეობით. საგარეო საქმეთა მინისტრები განიხილავენ ეგვიპტიდან ინგლისელთა ევაკუაციის საკითხს".

თათბირში მონაწილეობას მიიღებენ ერაყის, ტრანსიორდანიის, სირიის, ლიბანის, საუდის არაბეთისა და ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრები.

## ფრანგი ფაშისტების თავხედური გამოხდომა

პარიზი, 7 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ 5 მაისს ღამით ფაშისტთა ჯგუფი თავს დაესხა საფრანგეთის კომპარტიის შენობას პარიზის მე-18 ოლქში და დაარბია იგი.



სურათზე: ქუთაისის თეატრის შენობა სტალინის სახელობის მოედანზე.

ფოტო ი. საკუნისა.

## მშვენდება ქუთაისი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მწვანე სამოსელი წლითიწლობით უფრო მიმზიდველი და მდიდარი ხდება.

ბაღებსა და სკვერებში, გაზონებზე უკვე ჰყვავის და სურნელებას აფრქვევს ათასობით მცენარე. მარტო აპრილში და მაისის პირველ რიცხვებში დაირგო 120 ათასამდე მრავალწლიანი ხე და დეკორაციული ბუჩქი.

გამწვანებისათვის ბევრი რამ კეთდება ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებში. მანქანათმშენებელი ქარხნის ეზოს და საერთო საცხოვრებლების გასწვრივ სხვადასხვა ჯიშის 2.100 ძირი მცენარე დაირგო. აქედან ხუთას ძირზე მეტი ჭადარია.

აბრეშუმკომბინატის ბაღი წელს დიდძალი მცენარით შეივსო. მარტო წიწვიანი ხე დარგულია 1.600 ძირზე მეტი.

საავტომობილო ქარხნის გზები და მუშათა საცხოვრებელი უბნები დამშვენდა მრავალნაირი ნარგავით. აქ დაირგო ხუთი ათას ძირზე მეტი მაღალტანიანი ვერხვი, ჭადარი, კედარი, კვიპაროსი და სხვა დეკორაციული მცენარე.

ქალაქში წლის დამლევისათვის დაირგვება 200 ათასი ძირი მრავალწლიანი ძვირფასი ჯიშების დეკორაციული ხე და ყვავილოვანი ბუჩქი.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### „ა" კლასი

გუშინ ლენინგრადში კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისისა და ლენინგრადის „დინამოს" გუნდები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 0:0.

მორიგ შეჯიბრებას თბილისის დინამოელები ჩაატარებენ მოსკოვში ადგილობრივ „ლოკომოტივთან" 12 მაისს.

* * *

8 მაისს „ა" კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება გაიმართა აგრეთვე მოსკოვის სტალინეცის სტადიონზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის და ხარკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა კოლექტივები. შეჯიბრება მეტწილად მოსკოვის ლოკომოტიველთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით, ანგარიშით 4:1.

## ხელოვნების ქრონიკა

### რუსთაველის სახელობის თეატრში

გუშინ [illegible] თეატრმა განახლებული დადგმით უჩვენა მაყურებელს ფ. შილერის „ყაჩაღები". როლებს ასრულებდნენ აკ. ვასაძე (ფრანცი), გ. სალარაძე (კარლი), თ. ბაქრაძე (ამალია) და სხვ.

### თეატრალურ ინსტიტუტში

სამსახიობო ფაკულტეტის მე-4 კურსი თავის მეორე სადიპლომო სპექტაკლად ამზადებს ე. პეტროვის პიესას „მშვიდობის კუნძული". სპექტაკლს დგამს რეჟისორი მ. თუმანიშვილი, მხატვარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი დ. თავაძე. პირველი სპექტაკლი ნაჩვენები იქნება 12 მაისს.

ამავე ფაკულტეტის მე-3 კურსი (ხელმძღვანელი დოცენტი დ. ალექსიძე) მაისის ბოლო რიცხვებში თავის საკურსო სპექტაკლად წარმოადგენს მ. გორკის პიესას „უკანასკნელნი".

### ქართული თეატრების ახალი სპექტაკლები

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დაამტკიცა რეპერტუარი, რომლითაც საქართველოს თეატრები დაამთავრებენ მიმდინარე სეზონს.

სეზონის დამთავრებამდე გორის გ. ერისთავის სახელობის დრამატული თეატრი დადგამს ორ პიესას ა. ოსტროვსკის „უეცარი სიმდიდრე" და ნ. არეშიძის „ნახევამდის".

ბათუმის დრამატულმა თეატრმა საპირველმაისო დღესასწაულისათვის მოამზადა კ. ბუაჩიძის პიესა „სერიოზული ქალიშვილები". ამჟამად თეატრი მუშაობს ჰოვარდ ფასტის რომანის „თავისუფლების გზის" გასცენიურებაზე.

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი მაყურებელს უჩვენებს ორ სპექტაკლს — გ. ქელბაქიანის კომედიას „ახალგაზრდა მასწავლებელი" და კ. მიუფკეს პიესას „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება".

კ. მიუფკეს პიესა დაიდგმება ფოთის თეატრში. აქ წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ორი პიესა — ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი" და ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი".

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრი ამთავრებს მუშაობას მ. გორკის პიესაზე „მზის შვილები". ეს სპექტაკლი წარმოადგენს თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტის დ. აბაშიძის სადიპლომო სამუშაოს. შემდეგ დაიდგმება კ. მიუფკეს „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება". ამავე სეზონში თეატრი დაიწყებს მუშაობას უ. შექსპირის ტრაგედიაზე „ვენეციელი ვაჭარი", რომლითაც ნავარაუდევია მომავალი სეზონის გახსნა.

თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დიპლომანტები სპექტაკლებს დგამენ სხვა თეატრებშიც. გ. სარჩიმელიძე კ. მიუფკეს პიესას „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება" დგამს ფოთის თეატრში, ხოლო ვ. მოდებაძე ამავე პიესას — თელავის თეატრში.

თელავის თეატრი მიმდინარე სეზონში დადგამს აგრეთვე ა. ოსტროვსკის კომედიას „დაგვიანებული სიყვარული".

ახალგაზრდა რეჟისორი შ. ბასიაშვილი სადიპლომოდ ბათუმის თეატრში დადგამს მ. გორკის დრამას „ვასა ჟელეზნოვას".

## ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ვ. ა. პაატაშვილი საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ;

ამხ. ნ. ა. სუხიაშვილი და ამხ. გ. ნ. ზამბახიძე — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრის მოადგილეებად;

ამხ. ი. ნ. ლაღიძე, ამხ. ს. ს. როსტიაშვილი და ამხ. მ. პ. გიორგაძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის მოადგილეებად. (საქდესი).

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

# საერთაშორისო ცხოვრებიდან

## 1. უსიხარულო გაზაფხული

უსიხარულოდ ხვდებიან გაზაფხულს იუგოსლავიის მშრომელები. უზომო ხარჯები, რასაც ტიტოელი მმართველები შეიარაღებაზე ეწევიან, ბიუჯეტის სახსრების 78 პროცენტზე მეტს ნთქამს და ფასებისა და გადასახადების განუწყვეტელ ზრდას იწვევს. წარმოების სამშვიდობო დარგების შეკვეცისა და სოფლის გალატაკების შედეგად მატულობს უმუშევართა რიცხვი, რამაც უკვე 500 ათას კაცს მიაღწია.

ტიტოელმა მმართველებმა 1953 წლის მარტში კილოგრამი პურის ფასი გაადიდეს 36-დან 46 დინარამდე, ესე იგი 28 პროცენტით. კილოგრამი ფქვილის ფასიც გადიდებულ იქნა 10 დინარით. ამან გამოიწვია პურ-ფუნთუშის ყველა ნაწარმის, ხოლო შემდეგ აგრეთვე სხვა სახის სურსათის ფასების ახალი ზრდა.

ბელგრადის ჟურნალ „ეკონომსკა პოლიტიკას" შემცირებული მონაცემებითაც კი, 1953 წლის მარტში კვების პროდუქტების ფასები 19,6 პროცენტით მაღალი იყო, ვიდრე გასული წლის მარტში. გადიდდა სამრეწველო საქონლისა და თამბაქოს ნაწარმის ფასებიც.

სპეკულაციური ციებცხელების დროს, რაც პურისა და ფქვილის გაძვირებამ და სურსათის ნაკლებობამ გამოიწვია, ტიტოელმა ხელისუფლებმა 19 აპრილიდან კილოგრამი ცხიმისა და მცენარეული ზეთის ფასი გაადიდეს 40 დინარით, ესე იგი 21-22 პროცენტით. ეს იმ საბაბით ჩაიდინეს, რომ „ამ პროდუქტების ფასები სხვა მონათესავე პროდუქტების (ქონი, ღორის ხორცი, ძეხვეული და ასე შემდეგ) ფასებს არ შეესაბამებაო". ვერ არის მაინცდამაინც ოსტატური ფანდი! განა უფრო ადვილი არ იქნებოდა ფასების „შესაბამისობისათვის" შეემცირებინათ ღორის ხორცისა და ძეხვის ფასი...

სურსათის ფასების გადიდება რომ გაამართლონ, ტიტოელი მეთაურები 1952 წლის ცუდ მოსავალს იმიზეზებენ. მაგრამ დუმილით უვლიან გვერდს იმას, რომ, მიუხედავად ცუდი მოსავლისა, მათ კვლავ გააქვთ საზღვარგარეთ პური და სხვა სურსათი იარაღზე გადასაცვლელად.

„სრულებითაც არ არის შემთხვევითი, — წერს კარინტიის (ავსტრია) პროგრესულ სლოვენთა გაზეთი „ლიუდსკი გლასი", — რომ ტიტოელებმა პურისა და ფქვილის ფასები სწორედ მარტში გაადიდეს. 10 მარტს ბატაიიცის აეროდრომზე, ბელგრადის ახლოს, მიღებულ იქნა ამერიკულ რეაქტიულ თვითმფრინავთა პირველი პარტია. თითო რეაქტიულ თვითმფრინავში ტიტოელებმა 300 ვაგონი ხორბალი უნდა გადაიხადონ. ამდენი პური სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მთელი წლის განმავლობაში გამოიკვებოს 25 ათასი კაცი".

იუგოსლავიის მშრომელებს არა სურთ შიმშილით დაიხოცონ ტიტოს — იმპერიალისტთა ამ დაქირავებული აგენტის ავანტიურისტული გეგმების განხორციელების გულისათვის. ერთ-ერთი საშუალება მშრომელი ხალხის წინააღმდეგობისა ტიტოს პოლიტიკისადმი მძარცველურ გადასახადთა შეტანაზე უარის თქმაა. ტიტოს ოფიციოზი — გაზეთი „პოლიტიკა" იძულებულია აღიაროს, რომ გადასახადთა აკრეფის 1953 წლის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია სერბიაში 56 პროცენტით, კოსოვოსა და მეტოხიაში — 38 პროცენტით, ვოევოდინაში კი მხოლოდ 5 პროცენტით. ბელგრადის რაიონში მთელი პირველი კვარტალის მანძილზე, ჩივის გაზეთი „პოლიტიკა", ერთი დინარი საშემოსავლო გადასახადი არ აკრეფილა...

ნათქვამია, რასაც დათესავ, იმას მოიმკი. ტიტომ შიმშილი დათესა და გაკოტრებას იმკის.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

## 2. „იქს დღის" წინ

...შეშფოთებისათვის თითქოს არავითარი საფუძველი არ იყო. ტეოდორ ბლანკი, ბონის მთავრობის ფაქტიური სამხედრო მინისტრი, ესენში ჩავიდა, რათა სიტყვა წარმოეთქვა ვერმახტის აღორძინების შესახებ. აუდიტორია საიმედო იყო: ქრისტიან დემოკრატთა კავშირის წევრები, უნტერ-ოფიცერთა ჩვეული სახეები. მართალია, დარბაზში ცოტა იყო ახალგაზრდობა — ამან რამდენადმე გაანაწყენა ბატონი ბლანკი, რომელიც თავისი დივიზიებისათვის ახალგაზრდა ჯარისკაცებს უძებს.

...მოხსენება გათავდა, დაიწყო კამათი. ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან ორატორები — ექვსი ახალგაზრდა. მაგრამ, ბლანკის სამწუხაროდ, უკლებლივ ყველა ახალგაზრდა ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რომ გერმანელ ახალგაზრდობას არა სურს შევიდეს ლანდსკნეხტთა არმიაში...

იქნებ სწორედ ამ ეპიზოდმა აიძულა ბლანკი მთავრობის ოფიციალურ ორგანოში „ბიულეტენში" ამას წინათ მოეთავსებინა წერილი, რომელშიც წუწუნებს იმის გამო, რომ სავალალოა ბონის არმიაში ახალგაზრდობის შეგროვების პერსპექტივები. როგორც დპა-ს სააგენტო იუწყებოდა, ბლანკი უჩიოდა იმას, რომ

„ჯარების კონტინგენტის ასაკობრივი შემადგენლობა სრულიად არაბუნებრივი იქნება, თუ ვერ მოვახერხებთ ახალგაზრდობის მოზიდვას, ვინაიდან 1945 წლიდან შეუძლებელი იყო ოფიცერთა ან უნტერ-ოფიცერთა კადრების მომზადება ახალგაზრდობიდან".

ასეთი აღიარება შუქს ჰფენს დასავლეთ გერმანიაში არსებულ ნამდვილ მდგომარეობას. არმიის ჩამოყალიბების შესახებ ადენაუერის და ბლანკის ხმამაღალ მოწოდებებს ახალგაზრდობა არ ეხმაურება. დასავლეთ გერმანიის ბევრ ქალაქსა და სოფელში იქმნება „ჯარისკაცთა შეგროვების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტები".

„საერთო ხელშეკრულებისა და ევროპის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების პოლიტიკა, — ნათქვამია ქალაქ ეტლინგენის ასეთი კომიტეტის რეზოლუციაში, — იმ ფაქტის წინაშე გვაყენებს, რომ სურთ ჩვენი ნების წინააღმდეგ ჩაგვაცვან სამხედრო ფორმა და ჩაგვაბან სამხედრო ავანტიურების განხორციელებაში".

ბონში ჩქარობენ მიიღონ კონტრღონისძიებანი ომის საწინააღმდეგო განწყობილების აღმოსაფხვრელად. აღნიშნულ სტატიაში ბლანკი წინადადებას იძლევა შეიქმნას „მატერიალური სტიმულები" ჯარში შესასვლელად. „დოიჩე ზოლდატენცაიტუნგი" ჰიტლერული არმიის ყველა ყოფილ მოსამსახურეს ურჩევს გააძლიერონ სამხედრო აგიტაცია ახალგაზრდობის ორგანიზაციებში და შეუდგნენ ცალკეული პირების დამუშავებას. შინაგან საქმეთა მინისტრი ლერი კი ამასობაში ხალხს აპატიმრებს.

ასეთი საქმეები ხდება დასავლეთ გერმანიაში „იქს დღის" წინ, როგორც ბონის ჟარგონზე ეწოდება დასავლეთ გერმანიის შეიარაღებულ ძალებში ჯარისკაცთა ოფიციალური შეგროვების დაწყების დღეს. ბონელი მილიტარისტები ნერვიულობენ. გამოდის გადაუჭრელი წინააღმდეგობა: მათ ახალგაზრდობა სჭირდებათ ვერმახტისათვის, ახალგაზრდობას კი ვერმახტი არ სჭირდება!

„ნოვოე ვრემია" № 18.


## ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 9 მაისს | დიდი რუსი მსახიობის ა. ვ. ნეჟდანოვას ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლი ნ. რიმსკი-კორსაკოვი — **მეფის საცოლე** |
| 10 მაისს | დღის 12 საათზე ნ. ნაპრავნიკი — **დუბროვსკი**; საღამოს ბ. ასაფიევი — **ბალჩისარაის შადრევანი** |

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

ა. წ. 2 ივნისს, დღის 3 საათზე — ვასილ ალექსის-ძე კულულაშვილი თემაზე: **„სწორი ნაწლავის გამოვარდნილობის ოპერაციული მკურნალობა"**.

ოფიციალური ოპონენტები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ლ. ხერხეულიძე და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მ. კ. ჩახავა.

ა. წ. 5 ივნისს, დღის 3 საათზე — არჩილ კლიმენტის-ძე ერისთავი — თემაზე — **„ნაწლავთა ასკარიდული გაუვალობა"**.

ოფიციალური ოპონენტები — სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფესორი ა. პ. წულუკიძე და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. გ. კამალოვი.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

მოქალაქე ევგენია ზაქარიას ასულმა თვაურმა, მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპ. № 193, აღძრა საქმე ზაქრაძის ქ. № 20 მცხოვრებ მოქალაქე გიორგი არქიპოს-ძე ბერაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ლენინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე დომენტი ლაზარეს-ძე თევზაძემ, მცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 75, აღძრა საქმე ალაგირის გასავალი № 6 მცხოვრებ მოქალაქე ვერა გიორგის ასულ ბურჯანაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

ოთარ და ნათელა კუბლაშვილები, ოთარ და ლამარა ღვალაძეები იუწყებიან ლილი შავლაყაძე-კუპრაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 10-V, 3 ს. ფარკოფელის ქ. № 56.

სადგურ სამტრედიის რკინიგზის რესტორანის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ნინო მიხეილის ასულ ლოლომაძე-მიქაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-V სოფელ გეზრაში (წყალტუბოს რაიონი).

ნ. და კ. კარტოზიები, პ. და ქ. მალანიები, დ. და ს. მერმანიშვილები, კ. და ს. ამაშუკელები, თ. ჭავჭანიძე, ნ. ჩხაიძე, ქ. ჩიქვანია, ნ. სიხარულიძე, ე. ოძელაშვილი, ქ. შენგელია, გ. გოგნაძე, მ. ნინუა, თ. ყანჩაველი იუწყებიან დიმიტრი გვასალიას გარდაცვალებას.

მეუღლე აგრაფინა, შვილი ტარიელ, და ოლია, ძმა ალექსანდრე ჩხობაძეები, სიძე კ. ნიჟარაძე, დისწულები მარო, თამარ, ლიდია წიქორიძეები, თინა, ბიჭიკო, ნაზო ნიჟარაძეები იუწყებიან ტარასი ტარიელის-ძე ჩხობაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-V, 8 ს. გამოსვენება 10-V, 3 ს. მერკვილაძის ქ. № 2.

ძმა ჩიტო, რძალი ვარო, ძმისწულები შოთა, ასმათი, ეთერი კაპანაძეები ოჯახებით იუწყებიან ბარბარე იოსების ასულ კაპანაძე-ჩუტკერაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-V, 8 ს. გამოსვენება 10-V, 2 ს. კამოს ქ. № 24, ბინა 81.

ა. გ. ნატროშვილი და შ. გ. გონაშვილი ოჯახებით იუწყებიან მარიამ იაგორის ასულ ზურაბაშვილის გარდაცვალებას.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო სადგურის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ალექსანდრა დიმიტრის ასულ ასათიანის გარდაცვალებას.

ა. ლორთქიფანიძე, ე. ზაზუნოვა, ი. აბაშიძე, შ. ნახუცრიშვილი, შ. სირაძე, ე. ვეზირიშვილი, ქ. ახმეტელი, ე. ავალიანი, თ. რუხაძე, გ. პეტრიაშვილი, გ. გავაშელი იუწყებიან მარიამ ერასტის ასულ ბარნაბიშვილის გარდაცვალებას.

მეუღლე ლიდა, რძალი ლილო, შვილიშვილები გურამ, რეზო, ზურაბ, ირაკლი ამაშუკელები იუწყებიან სანდრო გრიგორის-ძე ამაშუკელის გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-V, 8 ს. გამოსვენება 10-V, 6 ს. მცხეთის ქ. № 2.

შვილები მარო ლეონიძე, მიხეილ ჩუტკერაშვილი, რძალი ოლიმპიადა, შვილიშვილები ქეთო, თამარ, გოგა, ვენერა, მადონა, კოტე, პავლე იუწყებიან ბარბარე იოსების ასულ კაპანაძე-ჩუტკერაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-V, 8 ს. გამოსვენება 10-V, 2 ს. კამოს ქ. № 24, ბინა, 81.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან მარიამ იაგორის ასულ ზურაბაშვილის გარდაცვალებას.

რძალი ნონა მანჯავიძე-კაპანაძისა, დისწული ბენედიქტე კუპრაშვილი ოჯახით იუწყებიან მიხეილ სოფრომის-ძე კაპანაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-V ქ. ქუთაისში. გამოსვენება ხახანაშვილის ქ. № 20.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03 3-82-05. პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67. სამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61. მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84. სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84. საბჭოთა მშენებლობის ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83. კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-06-68. წერილების — 3-73-24. განცხადებების — 3-51-81. გამომშვების — 3-81-65. გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41. სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".

უე 00778